პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

11 აპრილი სამშაბათი 1972 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან • № 85 (15298)

15 აპრილი კომუნისტური შაბათობის დღეა!

შაბათობამდე ოთხი დღე დარჩა.

როგორ ემზადებით შრომის ზეიმისათვის?



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მუშაობის შემოქმედებითი სტილისათვის

სოციალისტური წარმოების მასშტაბების გაფართოებისა და მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის განვითარების კვალობაზე აზრდება კადრების როლი და პასუხისმგებლობა კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე. ახალი, უფრო მაღალი მოთხოვნები ისახება მთელი ჩვენი მუშაობის სტილის, მეთოდების, ორგანიზაციის წინაშე.

აღნიშნა რა ეს სსრ კავშირის პროფკავშირთა XV ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში, ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზი გაუსვა: „ჩვენი საქმიანობის ღრმა გარდაქმნა, სერიოზული სრულყოფა მეურნეობაში, და სხვა დარგებშიც, რომლებიც XXIV ყრილობამ მოითხოვა, უკვე დაიწყო. მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა ვეძიოთ, გავიაზროთ, გამოვცადოთ. ყველანი უნდა განვეწყოთ იმისათვის, რომ სწორედ ასეთი, შემოქმედებითი სტილით ვიმუშაოთ“.

ვეძიოთ, გავიაზროთ, გამოვცადოთ — აი რა არის მთავარი დევიზი საქმიანობის ყველა დარგში. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება შემოქმედებითს ძიებას სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფის, მისი ეფექტიანობის ამაღლების სფეროში. მიმდინარე ხუთწლედში უნდა დამთავრდეს მატერიალური წარმოებისა და მომსახურების სფეროს ყველა საწარმოს გადაყვანა დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე. ამასთანავე უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს სხვა კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის მიერ დასახული ჩვენი საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპის ეკონომიური პოლიტიკის რეალიზაციას, უწინარეს ყოვლისა ღონისძიებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას. არა ერთი და ორი წლის შეუპოვარი შრომაა საჭირო პარტიის მიერ დასახული სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის პროგრამის წარმატებით შესრულებისათვის. ყველა ამ დიდი და რთული პროგრამის გადაჭრა ბევრად არის დამოკიდებული პრაქტიკული საქმეებისადმი სწორ, შემოქმედებითს მიდგომაზე.

ასეთი მიდგომა მოითხოვს კადრების იდეურ-თეორიული შეიარაღების ამაღლებას, შრომის, მეურნეობის გაძღოლის, მართვის პროგრესული, მეცნიერული მეთოდების დაუფლებას. ისწავლოს ეს მეთოდები — აი ყოველი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკის უპირველესი მოვალეობა და შინაგანი მოთხოვნილება, თუ არა სურს ჩამორჩეს ცხოვრებას.

მუშაობის შემოქმედებითი სტილის უმნიშვნელოვანესი ნიშანთვისებაა შევძლოთ ფეხი ავუწყოთ დროებას, დავინახოთ და მხარი დავუჭიროთ ყოველივე ახალს, მოწინავეს, პარტია მუდამ დიდად აფასებდა და აფასებს მუშაკებში ახლის გრძნობას. ეს თვისება სამეურნეო ინიციატივის სხვადასხვა ფორმით ვლინდება, იგი ნათლად გამოიხატა ისეთი, მაგალითად, ეკონომიური ექსპერიმენტების განხორციელებით, როგორიც არის მომუშავეთა რიცხვის შემცირებით პროდუქციის გამოშვების გადიდების შჩეკინოელთა მეთოდი, ბრიგადის სამეურნეო ანგარიშის გამოყენება მშენებლობაში, მოსკოველ ავტომობილმშენებელთა მიერ შემუშავებული ნაკეთობათა შიდასაქარხნო ატესტაცია, ვაჭრობასთან სასოფლო-სამეურნეო წარმოების პირდაპირი კავშირურთიერთობის სისტემა, რომელსაც კრასნოდარის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები პრაქტიკაში ნერგავენ. გამოცდილება ცხადყოფს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია გაბედული და გონივრული ექსპერიმენტები წარმოების მთელი შესაძლებლობებისა და რეზერვების რაც შეიძლება ეფექტიანი გამოყენებისათვის.

ვიმუშაოთ შემოქმედებითად — ეს ნიშნავს, რომ ვიმუშაოთ პერსპექტივით. თანამედროვე პირობებში ვერ უზრუნველვყოფთ წინსვლის მაღალ და მყარ ტემპებს, თუ არ გავითვალისწინეთ ვითარების მომწიფებული ცვლილებანი, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტენდენციები. როგორც აღინიშნა ამას წინათ გამართულ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პლენუმზე,, ლითონის ქარხანა, რომელიც კარგა ხანია ურიგოდ როდი ასრულებდა დაკისრებულ ამოცანებს, ძნელ მდგომარეობაში აღმოჩნდა იმის შედეგად, რომ მისმა ხელმძღვანელებმა არ გაითვალისწინეს ენერგომანქანათმშენებლობის განვითარებაში მიმდინარე ძვრები და დროულად არ მოემზადნენ ახალ სახეობათა ნაკეთობების გამოშვებაზე გადასასვლელად. მუდამ ვიყურებოდეთ წინ! სწორედ ეს არის მართვის, ეკონომიური და სოციალური დაგეგმვის მეთოდების შემდგომი სრულყოფის არსი.

ჩვენს კადრებს რომ ზრდის, პარტია უვითარებს მათ შორსმჭვრეტელობას, ფართო აზროვნებას, მისწრაფებას ნოვატორობისადმი. უამისოდ წარმოუდგენელია მუშაკთა პირადი პროფესიული და სულიერი ზრდა, ისევე როგორც წარმოუდგენელია წარმოების მყარი წარმატებანი. მრავალი წლის გამოცდილებიდან სწორი დასკვნა გამოიტანა კიევის გამოსათვლელი და მმართველი მანქანების ქარხნის დირექტორმა ა. ფ. ნეზაბიტოვსკიმ: „სოციალისტური წარმოების დიალექტიკა ისეთია, რომ ცალმხრივობა და პრიმიტივიზმი, პროფესიული უძრაობა, რომლებიც ხელს უშლიან ადამიანს იზრდებოდეს, ვითარდებოდეს როგორც შემოქმედებითი პიროვნება, ამავე დროს წარმოადგენს დაბრკოლებას წარმოების სრულყოფისათვის, მისი ეფექტიანობის ამაღლებისათვის“.

ჯერ კიდევ გვხვდება ხოლმე ფაქტები, როცა ადამიანები არ იზიარებენ დროის მოთხოვნებს და ჯიუტად ებღაუჭებიან ჩვეულ, მაგრამ აშკარად მოძველებულ წესებს მუშაობაში. არსებითად ისინი გაურბიან ყოველივე ახალს და ზოგჯერ თავიანთ კონსერვატიზმს ჩქმალავენ ფრაზებით იმის შესახებ, რომ საჭიროა ფრთხილად მიუდგნენ ყოველგვარ გარდაქმნებს. მაგრამ თვითეული საღად მოაზროვნე ადამიანისათვის ცხადია, რომ ჩვენს დღეებში საქმე ეხება არა ხშირად გაუმართლებელ გარდაქმნებს, რომლებიც წარსულში ხდებოდა ხოლმე, არამედ თვით ცხოვრების მიერ ნაკარნახევ ღონისძიებებს მთელი ჩვენი საქმიანობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფისათვის.

მუშაობის სტილის ყოველი ღონისძიებით სრულყოფა აუცილებელი პირობაა როგორც მიმდინარე ხუთწლედის წარმატებით შესრულებისათვის, ისე მომავლისაკენ დაჩქარებული წინსვლისთვისაც. ცნობილია, რომ უახლოეს ხანში დაიწყება ქვეყნის სამეურნეო განვითარების გრძელვადიანი პერსპექტივის შემუშავება 1990 წლამდე. ბევრი და სერიოზულად უნდა ვიმუშაოთ, რომ ამ პერსპექტივას საფუძვლად დაედოს არა მარტო უზუსტესი მეცნიერულად დასაბუთებული გაანგარიშებანი, არამედ მეურნეობის გაძღოლის და დაგეგმვის ყველაზე თანამედროვე მეთოდები. საჭიროა ენერგიულად დავნერგოთ ასეთი მეთოდები სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში.

პარტია მოუწოდებს პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკებს გამოიჩინონ შემოქმედების სულისკვეთება ყოველდღიურ საქმიანობაში. პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა შექმნან ამისათვის ხელშემწყობი ატმოსფერო, დაუცხრომლად იზრუნონ ძვირფას თაოსნობათა, ინიციატივის, ყოველივე ახლის, პროგრესულის გავრცელებისათვის, რაც ხელს უწყობს მუშაობის დონისა და ეფექტიანობის ამაღლებას. ამავე დროს საჭიროა ჩავუნერგოთ ადამიანებს შეურიგებლობა უძრაობისადმი, კანცელარიულ-ბიუროკრატიული მეთოდებისადმი. უფრო სრულად უნდა გამოვიყენოთ საზოგადოებრივი აზრის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ძალა ყოველგვარი დრომოჭმულის წინააღმდეგ, ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც აფერხებს წინსვლას.

ამოცანა ის არის, რომ კიდევ უფრო დაუცხრომლად გავაუმჯობესოთ ჩვენი საქმიანობა ყველა სფეროში, ავიყვანოთ იგი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის მოთხოვნების დონეზე, განვაწყოთ ადამიანები მუშაობის შემოქმედებითი სტილისათვის. ეს კომუნისტური მშენებლობის ახალ წარმატებათა საიმედო საწინდარია.

ПРАВДА

10 აპრილის მოწინავე.

# ხუთწლედის ფონდში

## ასე ემზადებიან



ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის პროდუქციას კარგად იცნობენ არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ იგი იგზავნება საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაშიც. საწარმოს კოლექტივმა ვალდებულება იკისრა მიმდინარე წლის დავალება ვადამდე შესრულოს და წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით 180 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვას. ელექტრომექანიკოსები დაპირებას ასრულებენ. აქ პირველი კვარტალის დავალება გადაჭარბებით შესრულეს. ახლა დიდი აღმავლობით ემზადებიან კომუნისტური შაბათობისათვის. სურათზე: ელექტროძრავების გამომცდელი ანზორ ზირაქაძე, რომელიც ცვლის დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებს.

ბ. გერსამიას ფოტო ((საქინფორმის ფოტოქრონიკა).

თბილისი. სამშენ მასალათა კომბინატი (დირექტორი ი. ინგოროყვა) დიდიხანია რესპუბლიკის მოწინავე საწარმოთა მწკრივში დგას. ამჟღერადაც კოლექტივმა მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. გეგმით 460 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია უნდა მოეხდინა, ფაქტიურმა შესრულებამ 472 ათას მანეთს გადააჭარბა. გეგმის გადამეტებით მომხმარებელმა მიიღო 2.666 კვადრატული მეტრი ბეტონის მოზაიკური ფილები და 11 ათასი მანეთის მხატვრული კერამიკული ნაწარმი.

გონივრულად მოწყობილი შრომით და მანქანა-დანადგარების მოცდენების შემცირებით შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 9,5 პროცენტით ამაღლდა. პროდუქციის მოცულობითი ზრდა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 8,4 პროცენტით გაიზარდა.

პირველ კვარტალში ათვისებულია და დაიწყო სერიული წარმოება პლასტმასის გრძივი ნაწარმისა.

კომბინატი ემზადება კომუნისტური შაბათობისათვის. შედგენილია გეგმა, შაბათობაში მონაწილეობას მიიღებს 400 კაცი, გამოშვებული იქნება 6 ათასი მანეთის პროდუქცია. ხუთწლედის ფონდში გადაირიცხება 850 მან. კომბინატის ტერიტორიაზე დაირგვება 300 ძირი ხე და ბუჩქი, 5 ათასი სხვადასხვა ყვავილი.

გეგმის შესრულებაში განსაკუთრებით ისახელეს თავი კომუნისტური შრომის დამკვრელებმა: ბეტონის მოზაიკური ფილების მხეხავმა ე. შუბითიძემ, ფაიფურის მასის მომმზადებელმა ა. ვარამაშვილმა, პლასტმასის ჩამომსხმელმა გ. გოგოლაშვილმა, წითელი თიხის ნაწარმის ჩამომსხმელმა ნ. გიგაურმა.

რძის კომბინატის (დირექტორი ვ. მაღლაკელიძე) კოლექტივმა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაძლია ზამთრის ყველა სიძნელე და პირველი კვარტალის გეგმა გადაჭარბებით გაანაღდა. პროდუქციის რეალიზაციის დავალებას 60 ათასი მანეთით გადაამეტა.

კომბინატის კოლექტივი ერთსულოვნად ემზადება კომუნისტური შაბათობისათვის. პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა უკვე შეადგინეს განრიგი, თუ რა უნდა გაკეთდეს. აქ ერთსულოვნად აქვთ გადაწყვეტილი შაბათობის დღეს იმუშაონ დაზოგილი სათბობით და ელექტროენერგიით და მოსახლეობას 200 ტონა რძე და რძის პროდუქტები მიაწოდონ, გამომუშავებული თანხა — 2.000 მანეთი შეიტანონ ხუთწლედის ფონდში. ამ დღეს საამქროებში ჩაატარებენ სანიტარულ დღეს, კომბინატის ტერიტორიაზე დარგავენ 200 ხეს და ბუჩქს. მოეწყობა ახალი სკვერი, შეგროვდება ხუთი ტონა ჯართი.

ქუთაისი. (საკ. კორ.). ლითოფონის ქარხნის კოლექტივმა წლის პირველი კვარტალის დავალების გადამეტებით გამოუშვა 74 ათასი მანეთის პროდუქცია და 76 ათასი მანეთით გადააჭარბა რეალიზაციის გათვალისწინებულ მოცულობას.

საწარმოს კოლექტივმა გეგმა მთელი დაწესებული ნომენკლატურის მიხედვით შეასრულა, გადამეტებით მისცა სამშობლოს ასობით ტონა ლითოფონი, შაბიამანი, სრესილი სალებავი, მინანქარი და მიკრობარიტი,

ქიმიკოსებმა გადაწყვიტეს მაღალნაყოფიერად იშრომონ კომუნისტური შაბათობის დღეს — 15 აპრილს, ძირითადი ქიმიური საამქროების მუშათა გარდა, რომლებიც განუწყვეტელი ციკლით მუშაობენ, შაბათობაზე გამოვა დამხმარე საამქროების 840 მუშა. მათ მიერ ამ დღეს გამომუშავებული 1.200 მანეთი მთლიანად გადაირიცხება ხუთწლედის ფონდში. წარმოების ტერიტორიის კეთილმოწყობაზე იმუშავებს 150 მუშა-მოსამსახურე. ისინი გაასუფთავებენ და წესრიგში მოიყვანენ ქარხნის ეზოს, დარგავენ 300 ძირ ხეს და ბუჩქს, 5 კილომეტრზე გაწმენდენ რკინიგზის ჩიხებს და შეასრულებენ ბევრ სხვა სამუშაოს.

# ხელშეკრულება

## საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ერაყის რესპუბლიკას შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირმა და ერაყის რესპუბლიკამ, რომლებიც

მტკიცედ არიან დარწმუნებული, რომ მათ შორის მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარება შეესაბამება ორივე სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესებს, ემსახურება მთელ მსოფლიოში და არაბული ქვეყნების რაიონში მშვიდობის საქმეს, ხალხთა თავისუფლების, უშიშროებისა და სუვერენიტეტის პატივისცემის ინტერესებს,

მიაჩნიათ, რომ მშვიდობისა და პროგრესის მთელი ძალების შეკავშირების განმტკიცება, მათ შორის არაბულ სახელმწიფოთა ერთიანობის განმტკიცება, ანტიიმპერიალისტურ საფუძველზე მტკიცე მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის ბრძოლის დიდმნიშვნელოვანი საშუალებაა,

აღფრთოვანებული არიან იმპერიალიზმის, კოლონიალიზმის, სიონიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ, ხალხთა თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლის იდეალებით,

დარწმუნებული არიან, რომ თანამედროვე მსოფლიოში საერთაშორისო პრობლემები უნდა გადაიჭრას თანამშრომლობისა და ურთიერთმისაღებ გადაწყვეტილებათა ძიების გზით,

ადასტურებენ თავიანთ მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკასა და ერთგულებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებისა და წესდების პრინციპებისადმი,

სურთ განავითარონ და განამტკიცონ მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთნდობის არსებული ურთიერთობა, ესწრაფვიან აიყვანონ ეს ურთიერთობა ახალ, კიდევ უფრო მაღალ დონეზე, გადაწყვიტეს დადონ ეს ხელშეკრულება და შეთანხმდნენ შემდეგზე:

### მუხლი 1.

ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები აცხადებენ, რომ ორივე ქვეყანასა და მათს ხალხებს შორის იარსებებს ურღვევი მეგობრობა და განვითარდება ყოველმხრივი თანამშრომლობა პოლიტიკის, ეკონომიკის, ვაჭრობის, მეცნიერებისა და ტექნიკის, კულტურისა და სხვა დარგებში სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პატივისცემის საფუძველზე.

### მუხლი 2.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი და ერაყის რესპუბლიკა აცხადებენ, რომ მჭიდროდ და ყოველმხრივ ითანამშრომლებენ, რათა უზრუნველყონ თავიანთი ხალხების სოციალურ-ეკონომიურ მონაპოვართა შენარჩუნებისა და შემდგომი განვითარების და მთელ თავიანთ ბუნებრივ რესურსებზე თვითეული მათგანის სუვერენიტეტის პატივისცემის პირობები.

### მუხლი 3.

ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები, რომლებიც თანმიმდევრულად ახორციელებენ სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას, თავიანთი მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის შესაბამისად კვლავაც იბრძოლებენ მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, ეფექტიან საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებული საყოველთაო და სრული განიარაღების მიღწევისათვის, რომელიც მოიცავს როგორც ატომურ, ისე ჩვეულებრივ სახეობათა შეიარაღებას.

### მუხლი 4.

ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები, რომლებიც ხელმძღვანელობენ ყველა ხალხის თავისუფლებისა და თანასწორუფლებიანობის იდეალებით, გმობენ იმპერიალიზმსა და კოლონიალიზმს, მათს ყველა ფორმასა და გამოვლინებას. ისინი კვლავაც დაუცხრომლად იბრძოლებენ იმპერიალიზმისა და სიონიზმის წინააღმდეგ, კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის, რასიზმისა და აპარტეიდის სრული, საბოლოო და უთუო ლიკვიდაციისათვის, ეცდებიან რაც შეიძლება მალე სრულად განხორციელდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკლარაცია კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ.

მხარეები ითანამშრომლებენ ერთმანეთთან და სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებთან, რათა მხარი დაუჭირონ ხალხთა სამართლიან ბრძოლას თავიანთი სუვერენიტეტისათვის, თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის.

### მუხლი 5.

ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ თავიანთ ეკონომიურ, ტექნიკურ და მეცნიერულ თანამშრომლობას და კვლავაც გააფართოებენ და გააღრმავებენ ასეთ თანამშრომლობასა და გამოცდილების ურთიერთგაზიარებას მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ირიგაციასა და წყალთა მეურნეობაში, ნავთობისა და სხვა ბუნებრივი რესურსების ექსპლოატაციაში, კავშირგაბმულობისა და კომუნიკაციების სფეროში და ეკონომიკის სხვა დარგებში, აგრეთვე ეროვნული კადრების მომზადებაში. მხარეები გააფართოებენ ვაჭრობასა და ზღვაოსნობას ორ სახელმწიფოს შორის თანასწორობის, ურთიერთსარგებლიანობისა და უმეტესი ხელშეწყობის რეჟიმის პრინციპების საფუძველზე.

### მუხლი 6.

ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები ხელს შეუწყობენ კავშირურთიერთობისა და კონტაქტების შემდგომ განვითარებას ერთმანეთთან მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, პრესის, რადიოს, კინოს, ტელევიზიის, ტურიზმის, სპორტისა და სხვა დარგებში.

იმ მიზნით, რომ ორივე ქვეყნის ხალხების ცხოვრება, შრომა და მიღწევები სხვადასხვა დარგში უფრო სრულად გააცნონ ერთმანეთს, მხარეები ხელს შეუწყობენ ორივე სახელმწიფოს სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საწარმოების, კულტურული და სამეცნიერო დაწესებულებების თანამშრომლობისა და კავშირურთიერთობის გაფართოებას.

### მუხლი 7.

დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ რა მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის ინტერესებისათვის საერთაშორისო ასპარეზზე მოქმედების შეთანხმებას, აგრეთვე საბჭოთა კავშირსა და ერაყს შორის პოლიტიკური თანამშრომლობის განვითარებას, ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები რეგულარულად გამართავენ კონსულტაციებს სხვადასხვა დონეზე ყველა დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო საკითხის გამო, რომლებიც ეხება ორივე

(დასასრული მე-3 გვ.).

# მეგობრობა, თანამშრომლობა

ბაღდადი. 10 აპრილი. (საკდესი). გუშინ ბაღდადის პრეზიდენტის სასახლის შენობაში გაიმართა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ერაყის რესპუბლიკის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების ხელმოწერა.

საბჭოთა კავშირის სახელით ხელშეკრულებას ხელი მოაწერა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა, ერაყის რესპუბლიკის სახელით — ერაყის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ა. ჰ. ალ-ბაქრმა.

საბჭოთა კავშირის მხრივ ცერემონიაზე იყვნენ საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები. ერაყის მხრივ — არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის რეგიონალური ხელმძღვანელობის წევრები, ერაყის მთავრობის წევრები, სხვა ოფიციალური პირნი.

ხელშეკრულების დადების დროს ა. ნ. კოსიგინმა და ა. ჰ. ალ-ბაქრმა სიტყვები წარმოთქვეს.

# ურთიერთგაგების სულისკვეთებით

ბაღდადი, 10 აპრილი. (საკდესი). სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა გუშინ მიიღო იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, პრეზიდენტის საბჭოს წევრი და დროებითი უმაღლესი სახალხო საბჭოს თავმჯდომარე აბდელ ფატახ ისმაილი, რომელიც ბაღდადში იმყოფება.

გაიმართა აზრთა ურთიერთგაზიარება, საბჭოთა კავშირსა და იემენის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის მეგობრული თანამშრომლობის განვითარების საკითხებზე, აგრეთვე ორივე მხარისათვის საინტერესო აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე.

შეხვედრა მიმდინარეობდა მეგობრობისა და განხილულ საკითხებში ურთიერთგაგების სულისკვეთებით.

# საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია მოსკოვში დაბრუნდა

10 აპრილს ერაყიდან მოსკოვში დაბრუნდა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის მეთაურობით. დელეგაცია მონაწილეობდა ჩრდილოეთ რუმეილაში პირველი დიდი ეროვნული ნავთობის სარეწის საექსპლოატაციოდ გადაცემისადმი მიძღვნილ ზეიმში.

ვნუკოვოს აეროდრომზე დელეგაციას შეხვდნენ ამხანაგები კ. ტ. მაზუროვი, დ. ს. პოლიანსკი, ი. ვ. ანდროპოვი, მ. ს. სოლომენცევი, სხვა ოფიციალური პირნი. (საკდესი).

# ნ. ვ. პოდგორნიმ ორდენი გადასცა ო. ვინცერს

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ 10 აპრილს ოქტომბრის რევოლუციის ორდენი გადასცა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრ ო. ვინცერს. ეს ჯილდო ო. ვინცერს მიეკუთვნა საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში, აგრეთვე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს შორის ძმური ურთიერთობის განვითარებასა და განმტკიცებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით.

იუბილარს რომ მიმართა, ნ. ვ. პოდგორნიმ აღნიშნა ამხანაგ ო. ვინცერის, როგორც კომუნისტი-ინტერნაციონალისტის, მარქს-ენგელს-ლენინის დიადი იდეალებისათვის მებრძოლის დამსახურება. სადაც უნდა გაეგზავნათ პარტიას, თქვა მან, — არალეგალურ სამუშაოზე ნაცისტური ტირანიის მძიმე წლებში, კომინტერნში, ისტორიაში პირველი სოციალისტური გერმანული სახელმწიფოს პასუხსაგებ პოსტებზე — თქვენ ყველგან მთელ ძალღონეს, ცოდნას, მდიდარ პოლიტიკურ გამოცდილებას ახმარდით გერმანიის მიწა-წყალზე სოციალიზმის გამარჯვების საქმეს.

ჩვენ, განაცხადა ნ. ვ. პოდგორნიმ, დიდად ვაფასებთ თქვენს დაუცხრომელ ღონისძიებებს საბჭოთა კავშირთან და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებთან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის განმტკიცებისათვის, საერთაშორისო ასპარეზზე მათი მოქმედების შესათანხმებლად ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებისათვის.

ვსარგებლობ ამ საზეიმო შემთხვევით, თქვა შემდეგ ნ. ვ. პოდგორნიმ, და მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საბჭოთა მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობდნენ და იხმარენ, რათა ჩვენი სახელმწიფოების ძმური კავშირი კიდევ უფრო მტკიცე და მონოლითური გახდეს, ხოლო ჩვენს თანამშრომლობას სულ უფრო უხვი ნაყოფი მოჰქონდეს.

ნ. ვ. პოდგორნიმ გულითადად მიულოცა ო. ვინცერს ჯილდო და უსურვა ახალი წარმატებანი თავის საქმიანობაში.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ო. ვინცერმა, რომელმაც მხურვალე მადლობა გადაუხადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და საბჭოთა მთავრობას ჯილდოსათვის და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს ორდენი მთელი მისი ცხოვრების სიმბოლოა, ვინაიდან რევოლუციური მოღვაწეობა დაიწყო მაშინ, როცა მოხდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია.

საზეიმო ცერემონიას ესწრებოდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ჰ. ბიტნერი. ესწრებოდნენ აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩოს დიპლომატიური თანამშრომლები. (საკდესი).

# ბრძანებულება

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### ნ. მ. ბურმისტროვასთვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდება მიენიჭოს თბილისის ა. ს. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრის მსახიობს ნატალია მიხეილის ასულ ბურმისტროვას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1972 წ. 10 აპრილი.

# ვეცდები გავამართლო



„ჩემთვის დღეს ჭეშმარიტი გაზაფხულია, სიცოცხლისა და ბუნების ზეიმი... დღეს, როცა ჩემი მოკრძალებული შრომა დაფასდა ისე, რომ მაქვს პატივი „სახალხო არტისტი“ მერქვას, უდიდეს სიხარულს განვიცდი. მსახიობის სიცოცხლე ხალხის ანუ მაყურებლის გარეშე აბა რა სიცოცხლეა და მე მადლიერი ვარ ჩემი ხალხისა, იგი მაძლევს ძალას. მე მადლობა მინდა ვუძღვნა კომუნისტურ პარტიას და მთავრობას ესოდენ დიდი დაფასებისათვის, რომელიც მაკისრებს კიდევ მეტ მოვალეობას და შევეცდები იგი გავამართლო...

ნატალია ბურმისტროვა.

# პარტიული ცხოვრება

# დამხმარე და არა რევიზორი

**უკანასკნელ** დროს შესამჩნევად ამაღლდა პარტიის რაიკომების აპარატის მუშაობის საერთო კულტურა. და ამაში დიდი როლი შეასრულა სკკპ XXIV ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებმა.

ახლა პარტიული მუშაკები გაცილებით მეტ ძალებს ახმარენ ცოცხალ საქმიანობას. ყველგან იგრძნობა შემოქმედებითი ძიება.

მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ პარტიული მუშაობის დონის ამაღლება ზევრად არის დამოკიდებული რაიკომის ინსტრუქტორზე.

გვეამაყება, რომ ინსტრუქტორი ხელმძღვანელი პარტიული ორგანოს დამაკავშირებელი რგოლია პირველადს პარტიულ ორგანიზაციებთან, იგი პარტიული კომიტეტის სრულუფლებიანი წარმომადგენელია. ეს მოვალეობა, ამასთან, დიდი პასუხისმგებლობის წინაშე გვაყენებს.

ვცდილობთ, რომ ადგილებზე, პარტიულ ორგანიზაციებში ჩვენ გვიყურებდნენ არა როგორც რევიზორს, არამედ როგორც მრჩეველს, დამხმარესა და პოლიტიკურ ორგანიზატორს.

პარტიული კომიტეტის ინსტრუქტორი შემოქმედებითი მუშაკია. ამიტომ ჩვენ ხშირად თვითონ განვსაზღვრავთ ზონაში შემავალ პარტიულ ორგანიზაციებში შემჩნეულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის კონკრეტულ გზებს. მაგალითად, ერთ-ერთ კოლმეურნეობაში წავაწყდით პირუტყვისათვის განკუთვნილი საფურაჟე მარცვლისადმი უდიერი მოპყრობის ფაქტებს. მდგომარეობის ღრმად შესწავლის შემდეგ ვესაუბრეთ კომუნისტებს და იმ დასკვნამდე მივედით, რომ საჭირო იყო საკითხის პარტიულ კრებაზე განხილვა. ასეც მოვიქეცით. კრებაზე საქმიანი მსჯელობის შემდეგ დასახული იქნა სათანადო ღონისძიებანი და ფურაჟი განადგურებას გადარჩა.

სასოფლო რაიონში ინსტრუქტორს უხდება დარგობრივი სპეციფიკით ერთმანეთისაგან განსხვავებულ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში მუშაობა. მაგალითად, ჩემზე მიმაგრებული 32 პირველადი პარტიული ორგანიზაციიდან 12 საკოლმეურნეოა, 7 სამრეწველო, 8—სასკოლო და 5 — ტერიტორიული. ამიტომ სასოფლო რაიონების იმ რაიკომების ინსტრუქტორებს, სადაც შექმნილი არ არის განყოფილებები ცალკეული დარგების მიხედვით, მოეთხოვებათ არა მარტო ღრმად ფლობდნენ მარქსისტულ-ლენინურ თე- [illegible]

[illegible] ცილებლად ვუპასუხოთ დამაჯერებლად, საქმის ცოდნით, ამომწურავად, თუ იმავე დღეს არა, შემდეგ მაინც, რათა არ დავკარგოთ ხალხის ნდობა, რომლის აღდგენა არც ისე ადვილია.

ყოველთვის, როცა ადგილზე მივდივარ, ვისახავ გარკვეულ მი- [illegible] თად გადაჭრას.

**ჯ. აბლაძე,**
საქართველოს კპ ამბროლაურის რაიკომის ინსტრუქტორი.

# პარტორგანიზაციათა მდივნების სამდღიანი სემინარზე

[illegible] ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე პარტიული ორგანიზაციების მუშაობა სოციალისტური კანონმდებლობისა და მართლწესრიგის განმტკიცების საქმეში". აფხაზეთის ასსრ სოფლის [illegible] „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე პირველადი პარტიული ორგანიზაციების ამოცანები მშრომელთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერების საქ- [illegible] რთველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანმა ა. ძაძუამ.

**ი. გოგეჩია.**

## წარმოება და მეცნიერული ძიება

# ტექნიკური პროგრესის გზაზე

### ქართველ მეტალურგთა ხუთწლედი

**ინდუსტრიის** მძლავრი მაჯისცემა იგრძნობა რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში. ქართველი სპეციალისტები, რომლებიც ამ ორი ათეული წლის წინათ პრაქტიკას გადიოდნენ რუსეთისა და უკრაინის მეტალურგიულ ქარხნებში, ახლა საკუთარ სიტყვას ამბობენ სამამულო მეტალურგიაში.

რუსთავის მეტალურგიული ქარხანა თანდათან ერთ-ერთ საპატიო ადგილს იკავებს ჩვენი ქვეყნის მეტალურგიულ მრეწველობაში.

ახალი ხუთწლედი ახალ ამოცანებს უსახავს ქართველ მეტალურგებს. **1975 წელს 1970 წელთან შედარებით 44 პროცენტით უნდა გაიზარდოს ფოლადის წარმოება, მზა ნაგლინისა — 11,8 პროცენტით, მილებისა — 12,9 პროცენტით, ამასთან 3,6 პროცენტით ამაღლდება შრომის ნაყოფიერება, ხოლო მოგებამ გეგმით 360 პროცენტით უნდა იმატოს.**

რა უნდა გაკეთდეს, რომ წარმატებით შესრულდეს ეს დავალებები? უპირველეს ყოვლისა, მთავარი აქცენტი ტექნიკური პროგრესის მძლავრი განვითარებისაკენ ავიღოთ, ასე ფიქრობენ მეტალურგები.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, როგორც სკკპ XXIV ყრილობამ აღნიშნა, ხუთწლიანი გეგმის დავალებათა შესრულების მთავარ ფაქტორს წარმოადგენს. ხუთწლედის დირექტივებში ყურადღება გამახვილებულია აგრეთვე ლითონის ხარისხის ძირეულად გაუმჯობესებაზე. რუსთაველი მეტალურგებისათვის დირექტივების ეს დებულება განსაკუთრებით აქტუალურია.

ისეთი პრობლემები, როგორიც არის ლითონის წარმოების გაზრდა და მისი ხარისხის გაუმჯობესება, შესაძლებელია წარმატებით გადაიჭრას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მჭიდრო კავშირს დავამყარებთ მეცნიერებასთან, ტექნიკასთან.

ჩვენი საუკუნე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის აღმავლობის ხანაა. თუ არ გვექნება მაღალი წარმადობის მექანიზმები, ავტომატური ხელსაწყოები, მართვის ავტომატიზებული სისტემები, არ გვექნება არც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი.

აფიქსებს რა პირველხარისხოვან მნიშვნელობას მეცნიერებისა და წარმოების ურთიერთკავშირს, ქარხნის კოლექტივმა ინსტიტუტებთან „ავტომატპრომთან", „გრუზგიპრომეზთან", აგრეთვე საქართველოს სსრ აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტთან ერთად იკისრა ტექნიკური პროგრესის შემდგომი დაჩქარების ვალდებულებანი.

მეტალურგიის ინსტიტუტთან თანამშრომლობით შემუშავდა მთელი რიგი სიახლენი. წარმოებაში დაინერგა მოდიფიცირებული თუჯის ბოყვები, რითაც მკვეთრად გაიზარდა მათი გამძლეობა. დაინერგა აგრეთვე ნავთის კოქსის გამოყენება აგლომერაციაში, რაც ზრდის ბრძმედების ტექნიკურ მაჩვენებლებს. მილსაგლინავ დგან „900/750"-ზე დაინერგა მილის ნამზადის უწყვეტი გაგლინვის პროცესი.

მეცნიერებთან მჭიდრო კავშირში რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში პირველად დაინერგა ფოლადის უწყვეტი ჩამოსხმის რადიალური კრისტალიზატორი, რაც სიახლეა სამამულო მეტალურგიაში.

იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენი ქარხნის ძირითად პროდუქციას მილები წარმოადგენს, სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებთან ერთად დამუშავებულია საკითხი ამჟამად მოქმედი სლაბური ფოლადის უწყვეტი ჩამოსხმის დანადგარის რეკონსტრუქციისათვის. რეკონსტრუქციის შედეგად ჩვენ საშუალება გვექნება მივიღოთ კვადრატული სხმულები, რომლებიც უშუალოდ მილნამზადებად გაიგლინება. ეს ღონისძიება წარმოებიდან გამორიცხავს ერთ გადამუშავებით პროცესს, მოგვცემს ლითონის დიდ ეკონომიას და გააუმჯობესებს მილების ხარისხს.

ამჟამად ჩვენთან მიმდინარეობს საინტერესო საცდელი მუშაობა გლუვი, უჭურო მილების გაგლინვისათვის საჭირო კარგად დნობადი ფოლადის მისაღებად. ასეთ უჭურო მილებს ნავთობის ჭაბურღილებზე გამოიყენებენ, რაც მუშაობას შეუმსუბუქებს ნავთობის მრეწველობის მუშაკებს, ჩვენ კი საშუალებას მოგვცემს შევამციროთ ლითონის ხარჯი.

არც თუ ისე დიდი ხნის წინათ ავითვისეთ კოლოიდური გოგირდის გამოსაშვები დანადგარი, რომელიც ჩვენი სოფლის მეურნეობისათვის ფრიად საჭირო პროდუქციას უშვებს. 1971 წელს 550 ტონა პროდუქცია დავამზადეთ. კოლოიდური გოგირდის სამრეწველო წარმოებას უდიდესი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს.

შრომის ნაყოფიერების გადიდების მიზნით განხორციელდა ტექნიკური პროცესების ავტომატიზაციისა და კომპლექსური მექანიზაციის დიდი სამუშაოები, ამათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია კოქსოქიმიურ საამქროში ვაგონგადასაყირავებლების დისტანციური მართვის შემოღება, ბრძმედის № 1 ღუმელის ქიმზე ბერვის ზომიერი განაწილების ავტომატიზაცია, მილსაგლინავ დგან „400"-ის კომპლექსური ავტომატიზაცია და სხვ.

ეს ღონისძიებები წლიურად 1,5 მილიონ მანეთ ეკონომიას იძლევა, მნიშვნელოვნად ამსუბუქებს მომსახურე პერსონალის მძიმე შრომას.

მიმდინარე ხუთწლედის ერთ-ერთ აქტუალურ ამოცანად პარტიის XXIV ყრილობამ გამოშვებული პროდუქციის ძირეული გაუმჯობესება მიიჩნია. ამიტომ ჩვენი ქარხნის კოლექტივმა შეიმუშავა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების კომპლექსური ღონისძიებანი. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია საგლინავ საამქროში ლეგირებული ლითონის შენელებული გაცივებით ჭების აღჭურვა და საექსპლოატაციოდ გადაცემა, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მილების ნამზადის და ქარხნის ძირითადი პროდუქციის — უნაწიბურო მილების ხარისხს.

ქარხნის ცენტრალური ლაბორატორიის მუშაკების წინადადებით ათვისებულია ფოლადის მშვიდი მარკების ჩამოსხმის სამრეწველო ტექნოლოგია. მარტენის საამქრო ამჟამად მთლიანად ფოლადის მშვიდი ჩამოსხმის მეთოდით მუშაობს. წარმატებით ვიყენებთ წინაწარმოქმნილ ნარევს, რომლის ძირითად კომპონენტს თბოელექტროცენტრალის ნაცარი წარმოადგენს.

ახალი ტექნიკის დანერგვით მიღებული ეფექტი გაცილებით მეტი იქნებოდა, რომ მუშაობაში არ გვქონდეს ნაკლოვანებები, რაც მომავალში უნდა გამოსწორდეს ჩვენი და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების ერთობლივი მუშაობით.

მეცნიერებასა და მრეწველობას შორის მჭიდრო კავშირის ერთ-ერთ ეფექტურ ფორმას წარმოადგენს დიდი ხნის წინათ რეკომენდებული სამეურნეო ხელშეკრულებების დადება. სამეურნეო ხელშეკრულებები, რომლებიც იდება ინსტიტუტებსა და საწარმოებს შორის, საშუალებას იძლევა ფართოდ ჩაებან მეცნიერები პრობლემური საკითხების გადაწყვეტაში. ასეთი კავშირი ხელს აძლევს როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს. ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს სამეურნეო ხელშეკრულებები დამატებით დავდოთ სხვა სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებთანაც.

ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის დაჩქარების მიზნით კარგი იქნება, თუ სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციები წარმოების ტექნიკურ-ეკონომიური დამუშავების საფუძველზე შეადგენენ კომპლექსურ გეგმებს დაახლოებით 10 წლის ან მეტი ხნის ვადით. ამ გეგმების საფუძველი უნდა იყოს კარგად დამუშავებული სამეცნიერო-ტექნიკური პროგნოზები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსთაველი მეტალურგები ახალი ამოცანების წინაშე დგანან. ამიტომ გადავხედეთ ჩვენს შესაძლებლობებს და მიმდინარე წლის დავალების წარმატებით შესრულებისათვის ვიკისრეთ ახალი გადიდებული ვალდებულებანი. ამ ვალდებულებებით გათვალისწინებულია როგორც პროდუქციის ზრდა, ისე მთელი რიგი ტექნიკური სიახლეების დანერგვა. ახლა გაჩაღებულია ენერგიული შრომა ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად.

**ო. სულაძე,**
რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი.



**ზესტაფონი.** კაბელის ქარხნის კოლექტივი მტკიცედ ჩადგა მოწინავეთა მწყობრში. აქ მიმდინარე წლის პირველი კვარტალის დავალება ვადამდე შეასრულეს და გეგმის გადამეტებით დიდძალი პროდუქცია გამოუშვეს. საწარმოში ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება ხუთი დღის დავალების ოთხ დღეში შესრულებისათვის. ამ სურათზე აღბეჭდილი არიან ქარხნის მოწინავე მუშები ცვლის ოსტატი ნუგზარ გურიავა (მარცხნივ) და მწნეხავი ნოდარ ჯიქია.

ა. ჩარკვიანის ფოტო.



**გურჯაანის** რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ყოველდღე ძლიერდება საგაზაფხულო კულტურების თესვის ტემპი. მხვნელ-მთესველებს გათვალისწინებული აქვთ 5262 ჰექტარზე საგაზაფხულო კულტურების თესვა დაამთავრონ აგროვადებში.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა სოფელ ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობა.

სურათზე — სიმინდის დასათესად გათვალისწინებულ ნაკვეთში სასუქი შეაქვს ტრაქტორისტ ნ. ნაცვლიშვილს.

გ. გოგოხიას ფოტო.

# ყიზლარის საძოვრების ავ-კარგი

### მეცნიერები მწყემსებთან

ამ დღეებში პრესაში გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „მეცხვარეობის პროდუქციის წარმოების შემდგომი გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ". ეს დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტია და მისი განორციელებისათვის ბრძოლა და შრომა ჩვენი მეცხვარეების, სპეციალისტებისა და მეცნიერ მუშაკთა საპატიო საქმეა. ჩვენ ამას წინათ ვიყავით ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე, ვნახეთ, როგორ შრომობენ ჩვენი მეცხვარეები, ვნახეთ, რა უჭირთ და რა ულხინთ. მკითხველს გვინდა გავუზიაროთ ჩვენი შთაბეჭდილებანი და მეცხვარეებს მივცეთ სასარგებლო რჩევა, გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრებანი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე საქართველოსათვის გამოყოფილი მიწის ფართობი 315.431 ჰექტარს შეადგენს. მათ შორის საძოვრები 259.133 ჰექტარია, სადაც დუშეთის, ყაზბეგის, თიანეთის, ლენინგორისა და ჯავის რაიონების ცხვარი ზამთრობს. ამ საძოვრებს ჩვენი რესპუბლიკის მეცხვარეობის პროდუქტების წარმოებისა და ამ დარგის შემდგომი გაფართოებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს საძოვრები რამდენიმე ნაკვეთად არის (ბაჯიგანი, ბირუზიაკი, ბაკრესი და სხვა) დაყოფილი და ისინი ერთმანეთისაგან საკმაოდ დიდი მანძილით—60-120 კილომეტრით არიან დაშორებულნი. ამასთან ცხვარი წელიწადის ძირითად დროს, (შვიდ-რვა თვეს) აქ ატარებს და მხოლოდ ზაფხულობით სამ-ოთხ თვეს უკან ბრუნდება, ჩვენი რესპუბლიკის საზაფხულო საძოვრებზე.

საქართველოს ზოოვეტერინარული სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა ერთი ჯგუფი ამ დღეებში მივლინებული იყო ყიზლარში. ჯგუფში შედიოდნენ: ინსტიტუტის მეცხვარეობის განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ა. ღლიღვაშვილი, არახნოპროტოზოოლოგიის განყოფილების გამგე, ვეტერინარულ მეცნიერებათა კანდიდატი ი. ცომაია, პათანატომიის განყოფილების გამგე, ვეტერინარულ მეცნიერებათა კანდიდატი პ. თათრიშვილი, საკვებმოპოვების განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი კ. ბერიძე და ამ სტატიის ავტორები.

ჩვენს მიზანს შეადგენდა ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე მეცხვარეობის ამჟამად არსებული მდგომარეობის ადგილზე შესწავლა, მეთოდური და პრაქტიკული ხასიათის ღონისძიებების შემუშავება და გატარება, რაც ხელს შეუწყობს ცხვრის ნორმალურად გამოზამთრებას, დოლის კამპანიის მაღალი მაჩვენებლებით დამთავრებას.

ამჟამად ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე ნახევარ მილიონზე მეტი ცხვარი ზამთრობს. აქედან დუშეთის რაიონის 156.212 სულია, ყაზბეგისა 178.910 სული, თიანეთისა — 32.008 სული, ლენინგორისა — 138.911 სული და ჯავის რაიონისა — 11.164 სული.

გაანგარიშება გვიჩვენებს, რომ აქ ერთ ჰექტარზე საშუალოდ 2 სული ცხვარი მოდის. თუ ამას დავუმატებთ აგრეთვე ცხვართან ერთად მყოფ სხვა პირუტყვს, ამასთან თუ მთლიანი ფართობიდან გამოვთიშავთ უვარგის საძოვრებს (რომლებიც მთლიანი ფართობების თითქმის 15-20 პროცენტს აღემატება) და არსებული ცხვრის მთლიან რაოდენობას კიდევ უფრო დავაზუსტებთ, მაშინ საძოვრების ფაქტიური დატვირთვა 4-5 სულამდე გაიზრდება. ეს იმ დროს, როდესაც საძოვრების ნორმალური დატვირთვა ერთ სულ ცხვარს ითვალისწინებს.

ჩვენ ადგილობრივ სპეციალისტებთან ერთად ადგილზე შევისწავლეთ ზემოთ დასახელებული ხუთივე რაიონის მეცხვარეობის ამჟამად არსებული მდგომარეობა.

საკითხის შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ ყიზლარში მოზამთრე მეურნეობები კარგად მოემზადნენ, საჭირო რაოდენობით მოიმარაგეს საკვები, ინვენტარი, დაათბუნეს ბინები, აამაღლეს ზოოვეტმომსახურება. ამის შედეგად გამოზამთრება და დოლი კარგად მიდის.

აღმოჩნდა, რომ ცალკეული რაიონების ცხვრის მდგომარეობა ძირითადად კარგია. მიუხედავად წლევანდელი ზამთრის მძიმე პირობებისა, დუშეთის რაიონის კოლმეურნეობების ყველა ბრიგადაში ცხვრის გამოზამთრება და დოლი კარგად მიმდინარეობს. თითქმის ყველა ბრიგადაში ადგილზე საკმაო რაოდენობით მიტანილია უხეში და კონცენტრირებული საკვები, ამასთან კარგად არის აშენებული ცხვრისა და ბატკნისათვის საჭირო ბინები და უზრუნველყოფილია მუშახელით (თვითეულ ფარაში 4-5 დამხმარე მწყემსია). დაქირავებული მწყემსები არც ერთ ბრიგადაში არ შეგვხვედრია. არ აღმოჩნდა აგრეთვე ცხვრისა და ბატკნის სიკვდილიანობის შემთხვევები.

დუშეთის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 47.030 სული ნერბია, საიდანაც ჩვენი იქ ყოფნის დროისათვის 12.912 სული ბატკანი იყო მიღებული. მლეთის კოლმეურნეობის იმ ბრიგადებში, რომლებსაც სოციალისტური შრომის გმირი ყარამან გაგაძე და მისი თანამოსაქმე ვ. ზაქაიძე ხელმძღვანელობენ, ცხვარი კარგად არის შენახული და თითქმის ნახევარი უკვე დადოლებული იყო. მიღებული ბატკანი ჯანსაღი და კარგად მოვლილია. კარგი შედეგები აქვს ამავე რაიონის გუდამაყრის კოლმეურნეობის იმ ბრიგადას, რომელსაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ალექსანდრე წიკლაური ხელმძღვანელობს. აქ 950 სული ნერბიდან მიღებული იყო 500-ზე მეტი ბატკანი და დოლი ნორმალურად მიმდინარეობდა. აქვე უნდა ითქვას, რომ ცხვრის გამოზამთრება და დოლი ყაზბეგის რაიონის ზემოდასახელებულ კოლმეურნეობებში ჩინებულად მიმდინარეობს. ჩვენ ვნახეთ და ადგილზე დავრწმუნდით იმაში, თუ რა მამაცურად შრომობენ და წინააღმდეგობას უწევენ სტიქიას ისეთი მეცხვარეები, როგორიც არიან ყაზბეგის ხარაძის სახელობის კოლმეურნეობის ფარის უფროსი, საპატიო ნიშნის ორდენოსანი ოთარ სუჯაშვილი, სიონის კოლმეურნეობის ფარის უფროსი მწყემსი, ორგზის ლენინის ორდენოსანი გიგო გელაძე, მისი თანამოსაქმე, ლენინის ორდენოსანი გივი სეთურიძე და სხვები.

ყაზბეგის რაიონის კოლმეურნეობებში ათეულ ათასობით სული ცხვარი ზამთრობს, მათ შორის 56.208 სული ნერბია, საიდანაც უკვე მიღებული იყო 20 ათასი სული ბატკანი.

ცხვრის გამოზამთრება და დოლი ნორმალურად მიმდინარეობს აგრეთვე ლენინგორის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. აქ 42.901 სული ნერბია, საიდანაც მიღებული იყო 11 ათას სულზე მეტი ბატკანი. ცხვრის ნორმალურად გამოზამთრებისა და დოლის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის კარგად იყვნენ ორგანიზებული დოლეთკარის კოლმეურნეობის დავით შერმანდინის ბრიგადაში. აქ განსაკუთრებით კარგად იყო მოწყობილი ცხვრის ფარეხები, საზამთრო ბაკები, საწოვარი ბაკები, საბატკნეები, საჩვილეები.

ცხვრის გამოზამთრება ნორმალურად მიმდინარეობს აგრეთვე თიანეთის რაიონის ფარებში. აქ 14.817 სული ნერბია. ამ რაიონის ცხვრის ძირითადი რაოდენობა გაერთიანებულია საკოლმეურნეობათაშორისო საბჭოში, დანარჩენი სულადობა კი ერწოს საბჭოთა მეურნეობისაა. პირველში მიღებულია ხუთი და მეორეში ათას სულზე მეტი ბატკანი, დოლი ნორმალურად მიმდინარეობს.

წლევანდელი ზამთარი საკმარისად გრძელი და სუსხიანი აღმოჩნდა. ზემოთდასახელებულ რაიონებში ცხვრის გამოზამთრება და დოლი მიუხედავად იმისა, რომ ნორმალურად მიმდინარეობს, ცხვრისა და ბატკნის სიკვდილიანობის შემთხვევებს ადგილი მაინც ჰქონდა. ეს ხდებოდა განსაკუთრებით ყინვიან დღეებში. მაგალითად, ცხვრისა და ბატკნის სიკვდილიანობა დუშეთის რაიონში იანვარში 1.88 პროცენტს უდრიდა, თებერვალში — 0,16 პროცენტს, ხოლო საშუალოდ — 1,02 პროცენტს. შესაბამისად ყაზბეგის რაიონში 1,01, 1,5 და 1,25 პროცენტი იყო. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობა იყო აგრეთვე ლენინგორისა და თიანეთის რაიონებში. ზემოთდასახელებული რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ამჟამად ცხვრის გამოზამთრება კარგად მიმდინარეობს და პირუტყვის სიკვდილიანობის არავითარი საშიშროება აღარ არის. ეს იმიტომ, რომ ჩვენი რესპუბლიკის პარტიულმა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა მდგომარეობის დროულად გამოსწორების მიზნით ყველა საჭირო ღონისძიებანი გაატარეს.

ამასთან ადგილზე ყიზლარის საზამთრო საძოვრების სამმართველოს მუშაკები (სამმართველოს უფროსი მ. გელაშვილი, მთავარი ზოოტექნიკოსი ჯ. კობაიძე, მთავარი ვეტექიმი გ. არაბული) თვითეული რაიონის ხელმძღვანელ და სამეურნეო მუშაკებთან ერთად გულმხურვალედ მოეკიდნენ ამ საქმეს და ენერგიულად იმუშავეს.

რაც შეეხება ჯავის რაიონის კოლმეურნეობებში ცხვრის გამოზამთრებისა და დოლის მიმდინარეობის საკითხებს, აქ მდგომარეობა ძალიან სერიოზულია. როგორც ჩანს, ამ რაიონისა და მათი კოლმეურნეობების ხელმძღვანელმა მუშაკებმა ნაკლებად იზრუნეს ცხვრის გამოზამთრებისა და დოლის ნორმალურად ჩატარებისათვის. აქ დროულად ვერ უზრუნველყვეს ცხვრის ფარები საჭირო ბინებით, ბაკებითა და საბატკნეებით, ამასთან ვერ მოიმარაგეს ცხვრისათვის საკმარისი რაოდენობით საკვები (გეგმით გათვალისწინებული 83 ტონის ნაცვლად მხოლოდ 34,5 ტონა თივა დაამზადეს). ამიტომ ჩვენს მიერ შესწავლილ ხუთი ბრიგადიდან არც ერთს თივის არავითარი მარაგი აღარ ჰქონდა. არ იყო აგრეთვე შეზიდული კონცენტრირებული საკვები.

ჯავის რაიონის კოლმეურნეობებს ცხვარი დაბა კოჩუბეის ახლოს მდებარე საძოვრებზე (ჩიბულატზე) ჰყავთ. როგორც როკის, ისე ედისის კოლმეურნეობების ხელმძღვანელებმა, როგორც ეტყობა, ვერ შეძლეს ცხვრის ნორმალურად გამოზამთრება და მიღებული ნამატის მთლიანად შენარჩუნების საკითხების ორგანიზაცია.

მაგალითად, როკის კოლმეურნეობაში ივანე ჩოხელის ფარაში 929 სული ცხვარია, მათ შორის 868 სული ნერბი. დოლი თითქმის დამთავრებული იყო, მაგრამ მხოლოდ 294 სული ბატკანი ჰყავთ. ამასთან მკვდარია 120 სული ნერბი; გურამ ალიბეგაშვილის ბრიგადაში კი 1.038 სული ცხვარია. მათ შორის 1.018 სული ნერბი და 20 სული ვერძი. მათ სულ 450 სული ბატკანი ჰყავთ, დოლი კი თითქმის დამთავრებულია. გარდა ამისა, იანვრიდან დღემდე 200 ცხვარი მკვდარია და საერთოდ დარჩენილი ცხვარი სერიოზული საფრთხის წინაშეა.

დაახლოებით ასეთსავე მდგომარეობაშია ედისის კოლმეურნეობის ცხვარიც. ჩერმენ სლანოვის ბრიგადაში, 959 სული ცხვარი ჰყავთ. მათ შორის 480 სული ნერბია. აქედან მხოლოდ 200 ბატკანი მიუღიათ და შეუნარჩუნებიათ. დანარჩენი ბატკანი მკვდარია. მკვდარია 70 სულზე მეტი ნერბიც.

მონაცემების შესწავლამ გვიჩვენა, რომ ჯავის რაიონში იანვარში დაიხოცა ცხვრის მთლიანი სულადობის 5,1 პროცენტი, ხოლო თებერვალში 8 პროცენტი და ცხვრის სიკვდილიანობამ საშუალოდ 7,5 პროცენტს მიაღწია. განსაკუთრებით დიდია ბატკნის სიკვდილიანობის პროცენტი, ეს იმ დროს, როდესაც სხვა რაიონებში ბატკნის სიკვდილიანობის პროცენტი 0,3-0,7 პროცენტს არ აღემატება.

ჯავის რაიონის კოლმეურნეობებში ცხვრის სიკვდილიანობა განაპირობა იმ მდგომარეობამ, რომ ისინი ზამთარს მოუმზადებელი შეხვდნენ. ვერ დაამზადეს საჭირო საკვები მარაგი, ცხვარი ვერ უზრუნველყვეს დათბუნებული ბინებით, კონცენტრირებული საკვებით, საბატკნეებით, საჩვილეებით, მუშახელით, ინვენტარითა და სხვა საშუალებებით. ჩვენს მიერ შემოწმებული 5 ბრიგადიდან მწყემსთა 90 პროცენტზე მეტი დაქირავებული იყო.

თუ არ მივიღებთ მხედველობაში ჯავის რაიონში შექმნილ მდგომარეობას, რომელსაც მნიშვნელოვანი რაოდენობით ჰყავს ცხვარი, ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე საერთო მდგომარეობა კარგია და ცხვრის გაწყვეტის საშიშროება არ არის. როგორც აღვნიშნეთ, ეს უკანასკნელი განაპირობა ცხვრის მოვლა-შენახვის პირობების გაუმჯობესებამ და ყოველგვარი დაავადების წინააღმდეგ შესატყვის კვალიფიციურ პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარებამ, რაც ზოოვეტსპეციალისტთა კარგი მუშაობით უნდა აიხსნას. კვალიფიციურ ვეტერინარულ-პროფილაქტიკურ ღონისძიებათა შედეგად თითქმის მთლიანად აღკვეთილია ინფექციურ და ინვაზიურ დაავადებათა შემთხვევები. მათ მიერ დროულად ჩატარებულია პროფილაქტიკური აცრები და დამუშავებულია ჰელმინთოზების საწინააღმდეგოდ.

მდგომარეობის შესწავლის შედეგად მიზანშეწონილად მიგვაჩნია გატარდეს შემდეგი ღონისძიებანი:

ყიზლარის საძოვრების ზემოთ აღნიშნული რაიონების მეცხოველეობის, კერძოდ კი მეცხვარეობის მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად საჭიროა საკვები კულტურების მოსავლიანობის გადიდება. ამისათვის მთელი რიგი ორგანიზაციული ღონისძიებები უნდა განხორციელდეს.

ნაკვეთმორიგეობით ძოვებისა და საძოვარბრუნვის განსახორციელებლად აუცილებელია ყიზლარის სავარგულების შიდასამეურნეო მიწათმოწყობის წესრიგში მოყვანა.

ერთ-ერთი მეტად ეფექტურ ღონისძიებას წარმოადგენს სასილოსე სიმინდის, სორგოს და მზესუმზირას თესვა იმ ნაკვეთებზე, რომელთა მორწყვა შესაძლებელია არტეზიული ჭების წყლით.

თივის მარაგის შესაქმნელად სარწყავ ნაკვეთებზე საჭიროა მეტ ფართობზე (ტერიტორიის გასარწყავების შემდეგ) მრავალწლიანი ბალახების, ძირითადად იონჯას და ერთწლიანების — სუდანურას თესვა.

ბუნებრივი საკვები სავარგულების ზედაპირული გაუმჯობესების ღონისძიებებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია საძოვრებზე დაგროვილი ნაკელის, აგრეთვე მინერალური სასუქების გამოყენება.

ბალახების ბოტანიკური შემადგენლობის გაუმჯობესების, მოსავლიანობის და ყუათიანობის გადიდების ერთ-ერთ ღონისძიებას წარმოადგენს საკვები ბალახების შეთესვა. გაწეული მუშაობის შედეგად ყველაზე კარგ შედეგს მოგვცემს საშემოდგომო ჭვავი, წითელწვერა და კაპუეტა.

სარეველა, მავნე და შხამიანი მცენარეების მოსპობის მიზნით ფართოდ უნდა გამოვიყენოთ ჰერბიციდები. ამასთან დაკავშირებით ყიზლარის ზამთრის საძოვრების სამანქანო-სატრაქტორო სადგურები აღჭურვილ უნდა იქნან საჭირო იარაღ-მანქანებით, გუთნებით, კულტივატორებით, ფარცხებით, სასუქების შემტანი მანქანებით, შესასხურებელი აპარატებით, შხამქიმიკატებით და სხვა მასალით.

საძოვრებზე არსებული ცხვრის მოვლა-შენახვისა და კვების პირობების გაუმჯობესების მიზნით საჭიროა:

ცხვრის მთლიანი რაოდენობის გადარჩევა მატყლის სახეების მიხედვით და მათი დიფერენცირებული მოვლა-შენახვისა და კვების პირობების შემოღება. ცხვრის კვების არსებული წესის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. აუცილებელია აგრეთვე გაფართოვდეს დათბუნებული ფარეხებისა და საბატკნეების მშენებლობა.

დოლის პერიოდში ბატკნები რძის ნაკლებობას განიცდიან. სასურველი იქნება ხელოვნური რძის გამოყენება. ეს რძე შესაძლებელია გამოყენებულ იქნას დედაცხვრის გამოსაკვებადაც, ამისათვის კოჩუბეიში უნდა მოეწყოს ხელოვნური რძის დამამზადებელი საამქრო.

საძოვრის ტერიტორიის დაბინძურებისაგან დაცვის მიზნით მკვდარი ცხოველების დასამარხად ბინებთან უნდა მოეწყოს ორმო-სამარხები.

არაგადამდებ დაავადებისაგან მკვდარი ცხოველების ლეშის გამოყენებისათვის სასურველია შეიქმნას მცირე მოცულობის საუტილიზაციო დანადგარი.

ასევე მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამავე ტერიტორიაზე სანიტარული სასაკლაოს მოწყობა ჯანდაგი და დასახიჩრებული ცხოველების ხორცის გამოყენებისათვის.

ჩვენი აზრით, ამ ღონისძიებათა დროულად განხორციელება სასურველ შედეგს გამოიღებს და მეცხვარეებს დაეხმარება მაღალხარისხოვანი პროდუქტების წარმოებაში.

**პროფ. ა. ნატროშვილი,**
**პროფ. დ. გელოვანი.**



# საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა აქტივის თათბირი

**10 აპრილს** თბილისში გაიმართა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა აქტივის რესპუბლიკური თათბირი.

თათბირის პრეზიდიუმში იყვნენ **შ. კიკნაძე, გ. ძოწენიძე, თ. მოსაშვილი, ჯ. პატიაშვილი,** სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე **ა. სერენკო,** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე,** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილების გამგე **ო. ჩერქეზია,** ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების წარმომადგენლები, თვალსაჩინო მეცნიერი მედიკები.

მოხსენება „რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებისა და დაწესებულებების ამოცანები სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში" გააკეთა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა **ვ. ბოჭორიშვილმა.**

კამათში მონაწილეობდნენ აფხაზეთის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი **შ. გოგოხია,** აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი **ი. დიასამიძე,** სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგე **ვ. ბახიშვილი,** თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგე **შ. კახიანი,** საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების აღმასკომის თავმჯდომარე **ს. ქურციკაშვილი,** რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე **გ. კაციტაძე,** რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი სააფთიაქო სამმართველოს უფროსი **ტ. გაბადაძე,** საქართველოს მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მდივანი **ბ. ჩირგაძე,** თბილისის მე-18 ბავშვთა პოლიკლინიკის მთავარი ექიმი **ნ. იოსავა,** საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამედიცინო სამეცნიერო საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, პროფესორი **ბ. ნანეიშვილი,** ქუთაისის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმი **ა. ძოწენიძე,** აფხაზეთის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სანეპიდსადგურის მთავარი ექიმი **ზ. აბგაჯი,** ამიერკავკასიის რკინიგზის სამედიცინო-სანიტარული სამსახურის უფროსი **რ. ჩხეიძე,** ქარელის რაიონის მთავარი ექიმი **ა. კუტიძე.**

თათბირზე გამოვიდა სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე **ა. სერენკო.**

თათბირის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა რესპუბლიკის მედიცინის ყველა მუშაკისადმი.

(საქინფორმი).

# ხელშეკრულება
## საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ერაყის რესპუბლიკას შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ

(დასასრული)

სახელმწიფოს ინტერესებს, ისევე როგორც ორმხრივი ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხების გამო.

**მუხლი 8.**

ისეთი სიტუაციების წარმოქმნის შემთხვევაში, რომლებიც საფრთხეს უქმნიან რომელიმე მხარის მშვიდობას ან საფრთხეს უქმნიან მშვიდობას ან არღვევენ მშვიდობას, ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები დაუყოვნებლივ დაამყარებენ კონტაქტს ერთმანეთთან, რათა შეათანხმონ თავიანთი პოზიციები წარმოქმნილი საფრთხის თავიდან აცილებისა თუ მშვიდობის აღდგენის ინტერესებისათვის.

**მუხლი 9.**

ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები ორივე ქვეყნის უშიშროების ინტერესებისათვის კვლავაც განავითარებენ თანამშრომლობას თავიანთი თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საქმეში.

**მუხლი 10.**

ხელშეკრულების დამდები თვითეული მაღალი მხარე აცხადებს, რომ კავშირს არ დაამყარებს და მონაწილეობას არ მიიღებს სახელმწიფოთა რაიმე დაჯგუფებაში, აგრეთვე მოქმედებასა თუ ღონისძიებებში, რომლებიც მიმართული იქნება ხელშეკრულების დამდები მეორე მაღალი მხარის წინააღმდეგ.

ხელშეკრულების დამდები თვითეული მაღალი მხარე ვალდებულებას კისრულობს არ დაუშვას, რომ მისი ტერიტორია გამოყენებული იყოს ისეთი აქტის ჩადენისათვის, რომელიც სამხედრო ზიანს მიაყენებს მეორე მხარეს.

**მუხლი 11.**

ხელშეკრულების დამდები ორივე მაღალი მხარე აცხადებს, რომ მათი ვალდებულებანი მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულებებით არ ეწინააღმდეგება ამ ხელშეკრულების დებულებებს, და ვალდებულებას კისრულობენ არ დადონ რაიმე საერთაშორისო შეთანხმება, რომელიც შეუთავსებელია მათთან.

**მუხლი 12.**

ეს ხელშეკრულება იდება თხუთმეტი წლის ვადით და ავტომატურად გაგრძელდება ყოველი მომდევნო ხუთი წლის პერიოდისათვის, თუ ხელშეკრულების დამდები არც ერთი მაღალი მხარე არ განაცხადებს სურვილს შეწყვიტოს მისი მოქმედება, რაც ხელშეკრულების დამდებ მეორე მაღალ მხარეს უნდა შეატყობინოს 12 თვით ადრე ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.

**მუხლი 13.**

ყოველგვარი აზრთა სხვადასხვაობა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ხელშეკრულების დამდებ მაღალ მხარეებს შორის ამ ხელშეკრულების რომელიმე დებულების განმარტების გამო, გადაწყდება ორმხრივი წესით მეგობრობის, ურთიერთპატივისცემისა და გაგების სულისკვეთებით.

**მუხლი 14.**

ეს ხელშეკრულება უნდა დამტკიცდეს და ძალაში შევა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის დღიდან, რაც მოსკოვში მოხდება შესაძლო მოკლე დროში.

ეს ხელშეკრულება შედგენილია ორ ცალად, თვითეული რუსულ და არაბულ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს ერთნაირი ძალა აქვს.

ხელმოწერილია ბაღდადში 1972 წლის 9 აპრილს, რაც შეესაბამება ჰიჯრით 1392 წლის 25-ე საფარს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელით
ა. კოსიგინი

ერაყის რესპუბლიკის სახელით
ა. ჰ. ალ-ბაქრი

# საბჭოთა კავშირ-ერაყის ერთობლივი კომუნიკე

არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის (ბაასის) და ერაყის რესპუბლიკის მთავრობის მიწვევით 1972 წლის 6-დან 10 აპრილამდე ერაყში ოფიციალური მეგობრული ვიზიტით იმყოფებოდა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის მეთაურობით.

ერაყის რესპუბლიკაში ყოფნის დროს, ნათქვამია საბჭოთა კავშირ-ერაყის ერთობლივ კომუნიკეში, საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრებმა იმოგზაურეს ქვეყანაში და ჰქონდათ შესაძლებლობა გასცნობოდნენ ერაყის ხალხის ცხოვრებას, მის საქმიანობასა და მიღწევებს ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის დარგში. მათ ყველგან გულთბილად, მხურვალედ ხვდებოდნენ.

არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის რეგიონალური ხელმძღვანელობის გენერალურმა მდივანმა, ერაყის რესპუბლიკის პრეზიდენტმა აჰმედ ჰასან ალ-ბაქრმა პრეზიდენტის სასახლეში მიიღო ა. ნ. კოსიგინი. გაიმართა მოლაპარაკება ა. ნ. კოსიგინსა და ბაასის პარტიის რეგიონალური ხელმძღვანელობის გენერალური მდივნის მოადგილეს, რევოლუციური სარდლობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს სადამ ჰუსეინს შორის.

მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ: საბჭოთა კავშირის მხრივ — საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები, ერაყის მხრივ — არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის რეგიონალური ხელმძღვანელობის წევრები, ერაყის მთავრობის წევრები.

მხარეებმა, რომლებიც ისწრაფვიან განამტკიცონ და კიდევ უფრო გააძლიერონ ორივე სახელმწიფოსა და ხალხთა შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობა და მტკიცედ არიან დარწმუნებული, რომ ამ ურთიერთობის შემდგომი განვითარება შეესაბამება საბჭოთა კავშირისა და ერაყის რესპუბლიკის ინტერესებს და ემსახურება საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების საქმეს, გადაწყვიტეს დადონ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ერაყის რესპუბლიკას შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება.

ამ ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს ბაღდადში, 1972 წლის 9 აპრილს. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელით ხელშეკრულებას ხელი მოაწერა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა და ერაყის რესპუბლიკის სახელით — ერაყის რესპუბლიკის პრეზიდენტმა აჰმედ ჰასან ალ-ბაქრმა.

მეგობრობისა და თანამშრომლობის ეს ხელშეკრულება, აღნიშნულია კომუნიკეში, დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომელიც განამტკიცებს ორ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობის მიღწეულ დონეს, კიდევ უფრო მყარ საფუძველს ქმნის მისი შემდგომი განვითარებისა და განმტკიცებისათვის, დიდი წვლილი შეაქვს ერთობლივ ბრძოლაში იმპერიალიზმის, კოლონიალიზმისა და სიონიზმის წინააღმდეგ, მშვიდობის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის.

გამოთქვეს რა სრული კმაყოფილება საბჭოთა კავშირსა და ერაყის რესპუბლიკას შორის მეგობრობისა და ყოველმხრივი ნაყოფიერი თანამშრომლობის ურთიერთობის მიღწეული დონის გამო, მხარეებმა დაადასტურეს ურთიერთმისწრაფება — ყველა შესაძლებლობა გამოიყენონ, რათა კვლავ განავითარონ და განამტკიცონ ეს ურთიერთობა პოლიტიკის, ეკონომიკის თავდაცვისა და სხვა დარგებში.

ერაყის მხარემ უღრმესი მადლობა უძღვნა საბჭოთა კავშირს ხელშეწყობისათვის ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, განსაკუთრებით ნავთობის ეროვნული მრეწველობის შექმნაში.

მხარეებმა განიხილეს უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო პრობლემები და კვლავ დაადასტურეს მხარეთა პოზიციების დამთხვევა ან სიახლოვე ამ პრობლემებში. საბჭოთა და ერაყის მხარეებმა განაცხადეს, რომ კვლავაც გააერთიანებენ თავიანთ ღონისძიებებს იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, საერთაშორისო უშიშროებისათვის, თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის განვითარებისათვის ბრძოლაში, აგრეთვე დახმარებას გაუწევენ ხალხებს, რომლებიც იბრძვიან იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, თავისუფლებისა და სოციალური პროგრესისათვის.

იმ საკითხების განხილვისას, რომლებიც ახლო აღმოსავლეთს ეხება, მხარეებმა დაადასტურეს, რომ სამართლიანი და მტკიცე მშვიდობა ახლო აღმოსავლეთში არ შეიძლება დამყარდეს ისრაელის იმპერიალისტური აგრესიის შედეგად ოკუპირებული მთელი არაბული ტერიტორიების განთავისუფლებისა და პალესტინის არაბი ხალხის კანონიერ უფლებათა უზრუნველყოფის გარეშე. ისინი კვლავ აცხადებენ, რომ მხარს უჭერენ პალესტინის არაბი ხალხის ბრძოლას თავისი კანონიერი უფლებების აღდგენისათვის.

იმასთან დაკავშირებით, რომ ამ ცოტა ხნის წინათ ერაყის დელეგაცია რევოლუციური სარდლობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის სადამ ჰუსეინის მეთაურობით მეგობრული ვიზიტით იმყოფებოდა მოძმე ქვეყნებში ეგვიპტესა და სირიაში, ერაყის მხარემ გააშუქა თავისი უკანასკნელი ღონისძიებანი არაბთა ერთიანობის მიმართულებით, რათა წინააღუდგნენ იმპერიალიზმისა და მისი აგენტურის ხრიკებს ამ რაიონში.

საბჭოთა მხარემ, მაღალ შეფასებას აძლევს რა არაბული ქვეყნების ერთიანობის განმტკიცების ღონისძიებებს პროგრესულ, ანტიიმპერიალისტურ და ანტისიონისტურ საფუძველზე, მიესალმება ერაყისა და სხვა პროგრესული არაბული ქვეყნების ხელმძღვანელთა ნაბიჯებს ამ მიმართულებით.

დასასრულ კომუნიკეში ნათქვამია, რომ მხარეებმა დიდი კმაყოფილება გამოთქვეს ერაყის რესპუბლიკაში საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ვიზიტის შედეგების გამო, რომელიც ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირსა და ერაყს შორის მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებას.

# ა. ნ. კოსიგინი ერაყში

ბაღდადი 10 აპრილი (საკდესი). სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი შეხვდა ერაყის კომუნისტური პარტიის დელეგაციას ერაყის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის აზიზ მუჰამედის მეთაურობით.

საუბრის დროს, რომელიც გულთბილ, ამხანაგურ ატმოსფეროში მიმდინარეობდა, განიხილეს ორივე მოძმე პარტიისათვის საინტერესო საკითხები.

ა. ნ. კოსიგინი ესაუბრა აგრეთვე ქურთისტანის დემოკრატიული პარტიის დელეგაციას ქურთისტანის დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის მუჰამედ მაჰმუდ აბდელ რაჰმანის მეთაურობით. საუბარმა გულთბილ, ამხანაგურ ვითარებაში ჩაიარა.

ბაღდადი. 10 აპრილი. (საკდესი). ერაყის არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის რეგიონალური ხელმძღვანელობის გენერალური მდივნის მოადგილემ, ერაყის რესპუბლიკის რევოლუციური სარდლობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ სადამ ჰუსეინმა გუშინ სადილი გამართა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მეთაურის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის პატივსაცემად.

სადილზე, რომელმაც გულთბილ, ამხანაგურ ვითარებაში ჩაიარა, იყვნენ საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები, არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის რეგიონალური ხელმძღვანელობის წევრები, ქურთისტანის დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობის წევრები, ერაყის მთავრობის მინისტრები, დიპლომატიური კორპუსის წევრები, ერაყის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეები.

ბაღდადი. 10 აპრილი. (საკდესი). გუშინ საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მეთაურმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა დარბაზობა გამართა.

დარბაზობაზე, რომელმაც გულითადობისა და მეგობრობის ვითარებაში ჩაიარა, იყვნენ საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები, აგრეთვე ერაყის არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის რეგიონალური ხელმძღვანელობის გენერალური მდივნის მოადგილე, ერაყის რესპუბლიკის რევოლუციური სარდლობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე სადამ ჰუსეინი, ერაყის არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის რეგიონალური ხელმძღვანელობის წევრები, ერაყის მთავრობის მინისტრები, ერაყის კომუნისტური პარტიისა და ქურთისტანის დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობის წარმომადგენელნი, ქვეყნის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეები, დიპლომატიური კორპუსის წევრები.

# ხელი მოაწერეს კონვენციას

**გაერთიანებული** ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXVI სესიამ 1971 წლის 16 დეკემბერს მოიწონა კონვენცია ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური) და ტოქსინური იარაღის შემუშავების, წარმოების და მარაგის დაგროვების აკრძალვისა და მოსპობის შესახებ. ამ კონვენციით გათვალისწინებულია, რომ დეპოზიტარი ქვეყნები იქნებიან სსრკ, ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი.

ამის შესაბამისად 10 აპრილს გაიმართა კონვენციის ხელმოწერა.

მოსკოვში კონვენციას ხელი მოაწერეს კონვენციის დეპოზიტარი სამი სახელმწიფოს წარმომადგენლებმა: საბჭოთა კავშირის სახელით — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ა. ა. გრომიკომ**, ამერიკის შეერთებული შტატების სახელით — შეერთებული შტატების ელჩმა საბჭოთა კავშირში **ჯ. დ. ბიმმა**, დიდი ბრიტანეთის სახელით — დიდი ბრიტანეთის ელჩმა საბჭოთა კავშირში სერმა **ჯ. კილიკმა**.

კონვენციის ხელმოწერის შემდეგ გამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ნ. ვ. პოდგორნი**. საბჭოთა კავშირის სახელით მან კმაყოფილება გამოთქვა კონვენციის ხელმოწერის დაწყების გამო. ამ კონვენციის შესრულების შედეგად, თქვა მან, სახელმწიფოთა არსენალში მოისპობა იარაღი, რომელიც მასობრივი მოსპობის იარაღის ერთ-ერთი ყველაზე საშიში სახეობაა. ამ შეთანხმების მომზადებაში დიდ როლი შეასრულეს საბჭოთა კავშირმა და სხვა სოციალისტურმა ქვეყნებმა, რომლებიც მრავალი წლის მანძილზე საერთაშორისო ასპარეზზე აქტიურად იბრძვიან მასობრივი მოსპობის ყოველგვარი იარაღის აკრძალვისათვის.

კონვენციას თავიანთი სახელმწიფოების სახელით ხელი მოაწერეს პოლონეთის, ბულგარეთის, ფინეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ნორვეგიის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, დანიის, კანადის, მონღოლეთის, რუმინეთის, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის, ავღანეთის, ისლანდიის, ავსტრიის, თურქეთის, ნიდერლანდის, იტალიის, ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის, მალაიზიის, ბირმის კავშირის, ლაოსის, ნეპალის, მექსიკის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ჩილეს, უკრაინის სს რესპუბლიკის, ბელორუსიის სს რესპუბლიკის, პერუს, ირანის, შვეიცარიის, იაპონიის, ავსტრალიის, ბურუნდის, ბრაზილიის, ბელგიის, ცეილონის, ეთიოპიის, განის, ზაირის, ტუნისის, პაკისტანის, რუანდის წარმომადგენლებმა. ახალი ზელანდიის სახელით — დიდი ბრიტანეთის ელჩმა სსრ კავშირში. (საკდესი).

# მსოფლიო დღეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ინდოჩინეთის ფრონტებზე:*

## პატრიოტთა წარმატებანი

**ჰანოი. 10 აპრილი. (საკდესი). ინდოჩინეთში ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების აგრესიული მოქმედების ესკალაციას ვერ მოაქვს ამერიკისთვის სასურველი შედეგები. პატრიოტული ძალები წარმატებით იგერიებენ მოწინააღმდეგის შემოტევას და მნიშვნელოვან ზარალსაც აყენებენ მას.**

გრძელდება საომარი მოქმედება კუანგჩის პროვინციაში. პატრიოტები განაგრძობენ წინსვლას პროვინციული ცენტრის მიმართულებით და რაკეტებსა და არტილერიის ცეცხლს უშენენ მის გარშემო განლაგებულ მოწინააღმდეგის პოზიციებს. მოდის ცნობები, რომ ბრძოლები მიმდინარეობდა უკვე ქალაქ კუანგჩის მიდამოებში. პატრიოტები სერიოზულად უტევენ ქალაქ ჰიუეს. წუხელ მათ იერიში მიიტანეს ქალაქზე ჩრდილოეთიდან, აგრეთვე „ბასტონის" ბაზის მხრიდან, რომელიც 20 კილომეტრზეა ქალაქის დასავლეთით.

საომარი მოქმედება მიმდინარეობს აგრეთვე დონგჰის მახლობლად, კუანგჩის ჩრდილოეთით. პატრიოტული ძალების ქვეგანაყოფებმა გადალახეს მდინარე კიავიეტი, დონგჰის დასავლეთით, და ჩაებნენ ბრძოლაში მარიონეტული არმიის სატანკო ნაწილებთან.

პატრიოტები აქტიურად იბრძვიან № 13 გზატკეცილზე საიგონის ჩრდილოეთით 96 კილომეტრზე. განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების მებრძოლებმა ამ რაიონში იმდენად ძლიერი იერიში მიიტანეს, რომ საიგონის სარდლობა იძულებული გახდა თავისი ნაწილებისათვის მაშველად გაეგზავნა უკანასკნელი რეზერვები — მარიონეტული პრეზიდენტის თხიეუს პირადი დაცვის ჯარისკაცები.

ბრძოლები მიმდინარეობს სამხრეთ ვიეტნამის მთელ რიგ სხვა რაიონებშიც. პატრიოტულმა ძალებმა იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგის დიდ ბაზაზე დანანგში. მძლავრმა ცეცხლმა მარიონეტული ნაწილები აიძულა მიეტოვებინათ საარტილერიო ბაზა „უესტი", რომელიც დანანგის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს. ტაინინის პროვინციაში პატრიოტებმა იერიში მიიტანეს ამერიკის მნიშვნელოვან სარეტრანსლაციო რადიოსადგურზე ქალაქ ტაინინის ჩრდილოეთით. დახოცეს რამდენიმე ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე. პატრიოტებმა იერიში მიიტანეს აგრეთვე ამერიკის ავიაბაზაზე კამრანის უბის მახლობლად საიგონის ჩრდილო-დასავლეთით 290 კილომეტრზე. მწყობრიდან გამოიყვანეს ბევრი ჯარისკაცი, რომლებიც ბაზას იცავდნენ, აგრეთვე 18 ამერიკელი ჯარისკაცი.

მეკონგის დელტაში პატრიოტებმა ააფეთქეს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ხიდი, ნაღმსატყორცნების ცეცხლი დაუშინეს მოწინააღმდეგის მთელ რიგ პოზიციებს № 4 გზაზე, აგრეთვე მიტხოს საყრდენ პუნქტს. ბინდიონგის პროვინციაში ჩამოგდებულია ამერიკული ვერტმფრინავი.

როგორც დასავლეთის სააგენტოთა კორესპონდენტები იუწყებიან, მარიონეტული არმიის რიგებში არეულობაა. საიგონელი ჯარისკაცები პირდაპირ გარედან ეკიდებიან ვერტმფრინავებს, რომლებითაც მოიერიშე ბაზებიდან გადაჰყავთ ამერიკელი მრჩევლები.

ამერიკის სარდლობის წარმომადგენელმა დღეს განაცხადა, რომ პატრიოტთა საზენიტო ცეცხლით დააზიანეს ერთ-ერთი „ბ-52" მძიმე ბომბდამშენი.

კამბოჯელი პატრიოტებიც აგრეთვე სერიოზულ ზარალს აყენებენ მოწინააღმდეგეს. გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა დღეს კამბოჯის პროვინციაში ქალაქ კამპონგტრატის მახლობლად.

პატრიოტული ძალები განაგრძობდნენ მტრის პოზიციების დალაშქვრას სვაირიენგისა და პრეივენგის პროვინციებში. იერიში მიიტანეს პატრიოტებმა მთელ რიგ პოზიციებზეც პნომპენის გარშემო 30 კილომეტრი რადიუსით, აგრეთვე კამპონგტიამის პროვინციაში № 7 გზაზე.

## მ. ლეირდის პრეს-კონფერენცია

ვაშინგტონი. 10 აპრილი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრი მ. ლეირდი ვაშინგტონში გამართულ პრეს-კონფერენციაზე ცდილობდა გაემართლებინა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის ახალი მასობრივი მასირებული დაბომბვა.

თავის განცხადებაში პრეს-კონფერენციაზე მ. ლეირდმა დაადასტურა ის ფაქტი, რომ კვლავ გაძლიერდა ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალებისა და სამხედრო-საზღვაო ძალების საომარი ოპერაციები ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ.

ამასთან, როცა ცდილობდა გაემართლებინა ამერიკის ავიაციის ბარბაროსული თავდასხმები და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიისათვის ცეცხლის დაშენა ზღვიდან, მინისტრმა მიმართა ძველ არგუმენტს: „უნდა უზრუნველვყოთ უშიშროება ამერიკის ჯარებისა", რომლებიც სამხრეთ ვიეტნამში რჩებიანო.

ლეირდი აშკარად დაემუქრა ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას, როცა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები „კვლავ გამოიყენებს საჰაერო და საზღვაო ძალებს" ამ სახელმწიფოს წინააღმდეგ და კვლავაც „გაუწევს დახმარებას" საიგონის რეჟიმს.



ამერიკელი აგრესორები და მათი საიგონელი მარიონეტები ცდილობენ გატეხონ კამბოჯის პატრიოტთა გაზრდილი წინააღმდეგობა ლონ ნოლის რეჟიმისადმი. აგრესორები ბრძოლაში აბამენ ახალ ძალებს, ათობით ვერტმფრინავების დახმარებით ცდილობენ დაიკავონ ქვეყნის სხვადასხვა რაიონი, რომლებიც პატრიოტებმა გაათავისუფლეს. მაგრამ ეს ცდები იფუშება, პატრიოტები საკადრის პასუხს აძლევენ მტერს.

**სურათზე:** ვერტმფრინავები გადახასხმელად გამზადებული საიგონის არმიის ჯარისკაცებით კამბოჯის ტერიტორიაზე.

საკდესის ფოტოქრონიკა.

## დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი

ნიუ-იორკი. 10 აპრილი. საკდესის კორესპონდენტი ო. პივოვაროვი იუწყება: მუშაობა დაამთავრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისიის XXVIII სესიამ, რომელიც აქ მიმდინარეობდა 6 მარტიდან.

კომისიამ განიხილა საბჭოთა კავშირის მიერ წარდგენილი პროექტი კონვენციისა აპარტეიდის ალკვეთისა და მისთვის დასჯის შესახებ, აგრეთვე პროექტი კონვენციის ოქმისა ყველა ფორმის რასობრივი დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ. ორივე ეს დოკუმენტი გაიგზავნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მორიგ სესიაზე საბოლოო განხილვისათვის.

საბჭოთა კავშირის ინიციატივას ამ დიდმნიშვნელოვანი საკითხის დაყენებაში მაღალი შეფასება მისცეს აფრიკა-აზიის მთელი რიგი ქვეყნების დელეგაციებმა. მათ მკვეთრად გააკრიტიკეს ნატოს ქვეყნები, უწინარეს ყოვლისა შეერთებული შტატები და ინგლისი, იმისათვის, რომ ეკონომიურ და სამხედრო დახმარებას უწევენ სამხრეთ აფრიკის რასისტულ და კოლონიურ რეჟიმებს.

კომისიამ დაადგინა მოაწყოს სპეციალური შესწავლა საკითხისა კანის ფერის მიხედვით დისკრიმინაციის შესახებ, რასაც მთელ რიგ ქვეყნებში მიმართავენ აფრიკული წარმოშობის პირების წინააღმდეგ, აგრეთვე შეისწავლოს ამგვარი პრაქტიკის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებანი. ეს გადაწყვეტილება კომისიამ მიიღო, მიუხედავად შეერთებული შტატების და ინგლისის წინააღმდეგობებისა.

კომისიამ მიიღო რეზოლუცია რასიზმისა და რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა კომპლექსის შემუშავების შესახებ. ეს ღონისძიებები უნდა განხორციელდეს მიმდინარე ათწლეულში. ინგლისი აღმოჩნდა ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც ამ რეზოლუციის მიღების დროს თავი შეიკავა კენჭისყრაში მონაწილეობისაგან.

კომისიამ განიხილა აგრეთვე ისრაელის მიერ ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა დარღვევის საკითხი და მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია, რომ ისრაელის მოქმედება ამ ტერიტორიებზე სამხედრო დანაშაულია.

კომისიამ მოიწონა ბელორუსიის სს რესპუბლიკის მიერ წარდგენილი პროექტი რეზოლუციისა იმის შესახებ, რომ კომისიის XXIX სესიის დღის წესრიგში პირველი რიგის პრობლემად შეიტანონ საკითხი, რომ განიხილონ პრინციპები საერთაშორისო თანამშრომლობისა იმ პირების აღმოჩენის, დაპატიმრების, გადაცემისა და დასჯის მიმართ, რომლებსაც ბრალი მიუძღვით სამხედრო დანაშაულობებსა და კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულობებში.

## დაძაბულობის შენელებისათვის

**პარიზი. 10 აპრილი. (საკდესი). აქ გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის კ. ვალდჰაიმის პრეს-კონფერენცია, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება საფრანგეთში.**

კ. ვალდჰაიმმა უცხოელ და ფრანგ ჟურნალისტებს, კერძოდ, განუცხადა, რომ უნდა შენელდეს დაძაბულობა ევროპაში, სადაც, მისი აზრით, ახლა ამის ყველა პირობაა. დაძაბულობის შენელება ევროპაში, ხაზი გაუსვა მან, ხელს შეუწყობს ვითარების გაუმჯობესებას მთელ მსოფლიოში.

უპასუხა რა შეკითხვაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მიღების შესახებ, გენერალურმა მდივანმა განაცხადა: „მე ორივე გერმანიის რაც შეიძლება მალე მიღების მომხრე ვარ. ეს შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინტერესებს".

შეეხო რა ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობას, კ. ვალდჰაიმმა ხაზგასმით აღნიშნა, დაინტერესებული ვარ, გ. იარინგმა განაგრძოს თავისი მისია. მან გამოთქვა იმედი, რომ ეს პრობლემა მშვიდობიანად მოწესრიგდება, და აღნიშნა, მდგომარეობა დედამიწის ამ ნაწილში კვლავაც ძალზე რთულიაო.

## დღესასწაული სირიაში

**დამასკო. 10 აპრილი. (საკდესი). სირიაში აღნიშნავენ არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის შექმნის 25 წლისთავს.** დამასკოში გაიმართა მიტინგი, რომელზეც სიტყვა წარმოთქვა არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის გენერალურმა მდივანმა, სირიის პრეზიდენტმა ჰაფეზ ასადმა. მან, კერძოდ, აღნიშნა არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის აქტიური როლი ქვეყნის ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებაში.

შეეხო რა სირიაში პროგრესული ეროვნული ფრონტის შექმნას, ასადმა თქვა, რომ ეს ნაბიჯი გადაიდგა არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის პოლიტიკის შესაბამისად, რომლის მიზანია ეროვნული ერთიანობის განმტკიცება თვითეულ არაბულ ქვეყანაში და მთელი არაბი ერის ერთიანობის მიღწევა იმ მიზნით, რომ მობილიზაცია უყონ მის მთელ რესურსებს იმპერიალიზმისა და სიონიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად და ისრაელის მიერ ოკუპირებული არაბული ტერიტორიების განთავისუფლებლად.

## ორივე ქვეყნის ინტერესებისათვის

**ბონი. 10 აპრილი. საკდესის კორესპონდენტი ი. მასლოვი იუწყება: სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობებს შორის სავაჭრო და ეკონომიური თანამშრომლობის შესახებ გრძელვადიანი შეთანხმების პარაფირებამ მოსკოვში ფართო გამოხმაურება გამოიწვია ფედერაციული რესპუბლიკის პოლიტიკურ და სამრეწველო წრეებში.**

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან ეკონომიური ურთიერთობის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ფონ ამერონგენმა დიდი კმაყოფილება გამოთქვა მოსკოვში მოლაპარაკების წარმატებით დამთავრებისა და შეთანხმებათა პარაფირების გამო. ეს შეთანხმება, ხაზი გაუსვა ამერონგენმა პრესის წარმომადგენლებისადმი განცხადებაში, ქმნის საბჭოთა კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ვაჭრობის შემდგომი განვითარების პერსპექტივებს.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მეურნეობისა და ფინანსთა მინისტრმა კ. შილერმა გააკეთა განცხადება, რომელშიც მიესალმა გუშინ პარაფირებულ შეთანხმებას. მან ხაზი გაუსვა, რომ შეთანხმების დადების შემდეგ ორი ქვეყნის ეკონომიური ურთიერთობა „საიმედო და გრძელვადიან საფუძველზე" იქნება დამყარებული. საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის შეთანხმება, აღნიშნა მინისტრმა, ხელს შეუწყობს საქონელგაცვლის გაფართოებას საბჭოთა კავშირთან.

დასასრულ მინისტრმა აღნიშნა, რომ საჭიროა ბუნდესტაგმა რატიფიკაცია უყოს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და სსრ კავშირს შორის და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას შორის დადებულ ხელშეკრულებებს, რომლებსაც ხელი მოაწერეს მოსკოვსა და ვარშავაში.

## ა. გრამშის შრომების გამოცემა

რომი. 10 აპრილი. (საკდესი). იტალიის პროგრესულმა გამომცემლობამ „ედიტორი რიუნიტიმ" გამოუშვა იტალიის კომპარტიის დამაარსებლის ანტონიო გრამშის ცნობილი „საპატიმროს რვეულების" ახალი ექვსტომიანი გამოცემა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პუბლიკაცია „საპატიმროს რვეულებისა", რომელიც გამოჩენილმა რევოლუციონერმა დაწერა ფაშისტურ დილეგში ყოფნის დროს, დიდი მოვლენაა იტალიის კულტურულ ცხოვრებაში. ახლა გრამშის ამ შრომას საპატიო ადგილი უკავია საისტორიო და ფილოსოფიურ ლიტერატურაში.

# ამ ერთ კვირაში

**საკდესის მიმოხილვა**

საბჭოთა კავშირთან და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასთან ხელშეკრულებათა რატიფიკაციის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის ბრძოლა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სულ უფრო მწვავდება, რადგან ახლოვდება ბუნდესტაგში მათი რატიფიკაციის კანონპროექტისათვის გადამწყვეტი კენჭისყრა.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, როგორც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა პროფკავშირთა XV ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში, დგას პასუხსაგები არჩევანის წინაშე თანამშრომლობასა და კონფრონტაციას შორის, დაძაბულობის შენელებასა და გამწვავებას შორის, საბოლოო ანგარიშით მშვიდობის პოლიტიკასა და ომის პოლიტიკას შორის.

ევროპის მშვიდობის ბედისათვის ამ გადაწყვეტილების მნიშვნელობა სულ უფრო მკაფიოდ აქვთ შეგნებული როგორც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. „დღეს უკვე ნათელია, — განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში კანცლერმა ვ. ბრანდტმა, — რომ საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კარგი ურთიერთობა პოზიტიურ გავლენას ახდენს მთლიანად ევროპის პოლიტიკურ კლიმატზე". ასეთ თვალსაზრისს მხარს უჭერენ ბონის დასავლელ მოკავშირეთა შორისაც.

„როგორც ვაშინგტონის საქმეს გაცნობილ ინსტანციებში აღნიშნავენ, — იუწყება ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქიდან დასავლეთ გერმანიის გაზეთ „ფრანკფურტერ ალგემაინეს" კორესპონდენტი, — იქ კვლავინდებურად ხელმძღვანელობენ იმით, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა დაამტკიცებს მოსკოვთან და ვარშავასთან დადებულ ხელშეკრულებებს".

დასავლეთ ევროპისა და სკანდინავიის მთელი რიგი ქვეყნების, მათ შორის საფრანგეთის, ჰოლანდიის, დანიის, შვეციის, ნორვეგიისა და ავსტრიის ხელმძღვანელებმა, აგრეთვე სრულიად გარკვეულად დაუჭირეს მხარი ბრანდტის მთავრობის სააღმოსავლეთო პოლიტიკას და განაცხადეს, რომ დაინტერესებული არიან სსრ კავშირთან და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასთან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულებათა რატიფიკაციით.

ამ ხელშეკრულებისადმი ევროპის მეტი წილი ქვეყნებისა და მსოფლიო საზოგადოებრიობის დადებითი დამოკიდებულება აისახა პრესაშიც, მათ შორის იმ ორგანოებშიც, რომლებსაც სოციალიზმის ქვეყნებისადმი სიმპათიებს ვერ დასწამებენ. მაგალითად, ლონდონის „ტაიმსი" წერს, რომ ხელშეკრულებათა რატიფიკაციაზე უარის თქმა „ლახვარს ჩასცემდა" აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობის განვითარებას.

ნატოს გენერალურმა მდივანმა ი. ლუნსმა, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად ჩავიდა ლონდონში, ნატოს წევრ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს მოუწოდა კვლავაც გაზარდონ თავიანთი წვლილი ამ ბლოკის სამხედრო ღონისძიებებში. მანამდე ასეთივე მოწოდებებით მიმართა მან დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს ბრიუსელში, ლუქსემბურგში, ათენში. რით აიხსნება ბატონი ლუნსის ასეთი აქტივობა?

ცნობილია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომელიც მთავარ როლს ასრულებს ატლანტიკის ბლოკში, უკვე დიდი ხანია აღებული აქვს იმის კურსი, რომ გააძლიეროს ნატოს სამხედრო მანქანა და ამავე დროს სულ უფრო მეტად დააკისროს მისი შენახვის ხარჯები თავის უმცროს პარტნიორებს. ასეთ „ეკონომიას" ვაშინგტონს აიძულებს უზარმაზარი ხარჯები ინდოჩინეთში აგრესიისათვის და ამ ხარჯებთან დაკავშირებული ეკონომიკური მოდუნება ქვეყანაში, დოლარის დიდი კრიზისი.

მიმართავს რა ზეგავლენისა და „ხელების გადაგრეხის" ტაქტიკას, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ამას წინათ დასავლეთ ევროპის ქვეყნები აიძულა მილიარდი დოლარით გაეზარდათ სამხედრო ასიგნებანი. ახლა კი პენტაგონი, რომელიც მოქმედებს ნატოს ეგრეთწოდებული „ევროჯგუფის" საშუალებით, მოკავშირეებისაგან მოითხოვს თავიანთი სამხედრო ბიუჯეტის კიდევ უფრო გაზრდას.

რა საჭიროა იმაზე ლაპარაკი, თუ რა მძიმე ტვირთად აწვება არამწარმოებლური სამხედრო ხარჯები ნატოს წევრ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს. მით უმეტეს, რომ პენტაგონის გავლენით ეს სახელმწიფოები იძულებული არიან არა მარტო გაზარდონ საკუთარი სამხედრო ძალები, არამედ სულ უფრო მეტი ხარჯები გასწიონ დასავლეთ ევროპაში მყოფი 300.000 ამერიკელი სამხედრო მოსამსახურის და ევროპის კონტინენტზე შექმნილი 80-მდე სამხედრო ბაზის შენახვისათვის. გამალებულ შეიარაღებაში მონაწილეობა ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზია იმისა, რომ ნატოს წევრ ქვეყნებში ცხოვრების ღირებულება განუწყვეტლივ იზრდება.

ახლახან ვაშინგტონში გამოქვეყნებული ოფიციალური საგარეო-პოლიტიკური მოხსენება ეჭვს არ იწვევს, რომ ამერიკის მმართველ წრეებს განზრახული აქვთ კვლავაც განახორციელონ ჩრდილოეთატლანტიკურ ბლოკში შემავალ სახელმწიფოთა მილიტარიზაციის კურსი.

ბევრი მეთვალყურე აღნიშნავს, რომ პენტაგონი, როგორც ყველაფრიდან ჩანს, შეეცდება თავის პარტნიორებზე ახალი ზეგავლენისათვის გამოიყენოს ნატოს საბჭოს საგაზაფხულო სესია, რომელიც გათვალისწინებულია მაისისათვის. ამ სესიის ვადის მოახლოებას პრესა უკავშირებს იმ ფაქტსაც, რომ ნატოს გენერალური მდივანი ლუნსი განსაკუთრებით აქტიურად მოითხოვს ახლა შემდგომ გამალებულ შეიარაღებას. ლუნსისა და ნატოს სხვა მესვეურთა ეს მოწოდებანი კიდევ ერთხელ მოაგონებენ ევროპისა და მთელი მსოფლიოს საზოგადოებრიობას, რომ საჭიროა გააძლიეროს ბრძოლა უშიშროებისა და მშვიდობისათვის.

## ამბები

● **დაკაში გაიხსნა** ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების პირველი სესია. სესიის დღის წესრიგშია საკითხი: ახალგაზრდა სახელმწიფოს ახალი კონსტიტუციის მიღება.

● **მაღაროელთა ორგანიზაციების** მოთხოვნათა გამო ბოლივიის პრეზიდენტმა უგო ბანსერმა გასცა განკარგულება პატიმრობიდან გაათავისუფლონ ქვეყნის უდიდესი პროფკავშირული ორგანიზაციის — ბოლივიელ მაღაროელთა ფედერაციის ხელმძღვანელი ვიქტორ ლოპესი. იგი დააპატიმრეს გასული წლის აგვისტოში სამხედრო გადატრიალების დროს, რომლის შედეგად ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა ახლანდელი მთავრობა.

● **ქალაქი ჰარდვარი** გადაიქცა ჩრდილოეთ ინდოეთის უტარ პრადეშის შტატის ინდუსტრიულ ცენტრად. ჰარდვარის მძიმე ელექტრომოწყობილობის ქარხნის პროდუქციაზე დიდი მოთხოვნაა მთელ ინდოეთში. ეს ქარხანა საბჭოთა კავშირის ტექნიკური ხელშეწყობითა და ეკონომიური დახმარებით აშენდა. იგი ქვეყნის ელექტროსადგურებს ძირითადად აწვდის მოწყობილობას, რომელიც ძალზე სჭირდება ინდოეთის განვითარებას ეკონომიკას.

● **ბუნდესტაგის სამართლებრივი** კომისია შეუდგა საბჭოთა კავშირთან და პოლონეთთან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულებათა რატიფიკაციის შესახებ დასკვნით განხილვას, რომელიც 5 დღეს გასტანს.

● **ლონდონი.** „ბრიტანეთის მანქანათმშენებლობა ახლა ყველაზე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ოცდაათიანი წლების დამლევიდან", — წერს გაზეთი „ტაიმსი". მარტო ამ ბოლო 12 თვის მანძილზე, ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებით, ამ დარგში სამუშაო დაკარგა 20 ათასამდე კაცმა. მათი უმრავლესობა დღემდე შრომის ბირჟის კართან არის ატუზული.

● **ბრაზავილი.** კონგოს სახალხო რესპუბლიკაში აღმოაჩინეს ნავთობის წყალქვეშა საბადო, რომლის მარაგი სპეციალისტების აზრით 200-300 მილიონ ტონას შეადგენს. იგი მდებარეობს კონგოს სახალხო რესპუბლიკის სანაპირო ხაზის გასწვრივ, ნაპირიდან 15 კილომეტრის დაშორებით. ეს ნავთობის მეორე მნიშვნელოვანი წყალქვეშა საბადოა კონგოში. პირველი საბადოდან ნავთობის ამოღება უკვე გასული წლის დამლევს დაიწყო.

## ფაქტები




## მარჯანიშვილის თეატრი ცხინვალში

ცხინვალი. (საკ. კორ.). სამხრეთ ოსეთის საოლქო ცენტრს — ცხინვალს საგასტროლოდ ეწვია თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრს და მის კოლექტივს მრავალი თაყვანისმცემელი ჰყავს ცხინვალში, ამიტომ ესოდენ დიდია გასტროლებისადმი ინტერესი.

ცხინვალის დრამატული თეატრის შენობაში ქართული თეატრის გასტროლები დაიწყო ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატის ნოდარ დუმბაძის პიესით „ნუ გეშინია, დედა!" სპექტაკლის დაწყების წინ სტუმრებს მიესალმა სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგის მოადგილე ო. ჩაბიევა. ქართველ მსახიობთა სახელით სიტყვით გამოვიდა საქართველოს სახალხო არტისტი ი. ტრიპოლსკი.

მარჯანიშვილის თეატრის კოლექტივს საგასტროლო რეპერტუარში აქვს კიდევ ორი დადგმა ა. გეწაძის „წმინდანები ჯოჯოხეთში" და ჯ. ფლეტჩერის „ჭირვეული ქმრის მორჯულება".

## ლ. მალაზონიას ნამუშევართა გამოფენა

საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი გამოიწვია საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ლ. მალაზონიას ნამუშევართა პერსონალურმა გამოფენამ, რომელიც მხატვრის დაბადების 70 წლისთავისა და მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისთავის გამო გაიხსნა ხელოვნების მუშაკთა გამოფენის დარბაზში.

ვერნისაჟზე შეიკრიბნენ მრავალი თაყვანისმცემელნი ლ. მალაზონიას ნიჭისა, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული ფერწერისა და თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნების განვითარებაში.

მათ დაათვალიერეს ასამდე ნამუშევარი, მხატვრის ფერწერული და გრაფიკული ტილოები. გაიმართა მხატვრის შემოქმედებითი საღამო, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა სსრ კავშირის სახალხო მხატვარმა უ. ჯაფარიძემ. ხელოვნებათმცოდნე შ. კვასხვაძემ დამსწრეთ უამბო ლ. მალაზონიას ცხოვრების შესახებ, გააცნო ტილოები, რომელიც შექმნილია მისი ფუნჯით, დაახასიათა იგი როგორც ნიჭიერი მხატვარ-დეკორატორი, რომელიც 30 წელს მუშაობდა მახარაძის დრამატულ თეატრში და გაფორმებული აქვს კლასიკური და თანამედროვე რეპერტუარის 130-ზე მეტი სპექტაკლი.

იუბილარს მიესალმნენ სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვ. გოძიაშვილი, საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი დ. ანთაძე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ტ. საყვარელიძე, კინოსტუდია „ქართული ფილმის" დირექტორი, რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ა. ძიძიგური, მახარაძის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგე გ. თავაძე, მახარაძის რაიონის მოწინავე ადამიანები. (საქინფორმი).

## გ. კირკიტაძე



[illegible] ქიათურის მარგანეცის ტრესტის მმართველის მოადგილე კომერციის დარგში, სკკპ წევრი 1930 წლიდან, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი გრიგოლ ბერონტის-ძე კირკიტაძე.

გ. კირკიტაძე დაიბადა 1907 წელს ტყიბულის რაიონის სოფელ მუხურაში. 1934 წელს თბილისის ინდუსტრიული ინსტიტუტის დამთავრებისთანავე დაინიშნა ჭიათურის მარგანტრესტის გამამდიდრებელი ფაბრიკის დირექტორად. შემდეგ მუშაობდა მარგანტრესტის კადრების განყოფილების უფროსად, რკინა-მადნის პროფკავშირის ჭიათურის რაიკომის თავმჯდომარედ. 1940 წელს კი არჩეულ იქნა საქართველოს კპ ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მდივნად.

1941 წელს გ. კირკიტაძე მივლინებულ იქნა მოსკოვში სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ ლენინურ კურსებზე. 1941 წლის სექტემბრიდან 1945 წლის ნოემბრამდე სამამულო ომის ფრონტებზე თავდადებით იბრძოდა გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ, იყო დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსი ინსტრუქტორი, ბრიგადის შტაბის უფროსის მოადგილე, ათასეულის მეთაურის მოადგილე.

არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ გ. კირკიტაძე კვლავ მარგანეცის ტრესტში სხვადასხვა პასუხსაგებ სამეურნეო თანამდებობას ასრულებს.

1949 წელს გ. კირკიტაძეს მეორედ ირჩევენ საქართველოს კპ ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მდივნად, ხოლო 1951 წლის დეკემბრიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე იყო მარგანეცის ტრესტის მმართველის მოადგილე კომერციის დარგში. დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით.

სპეტაკი კომუნისტის გრიგოლ კირკიტაძის ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი ამხანაგებისა და მეგობრების გულში.

**საქართველოს კომპარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტი, ჭიათურის მარგანტრესტი.**

## სასარგებლო ნაცნობობა

სოხუმი. 10 აპრილი. (საქინფორმის კორ.). საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის საქმიანობის გაცნობა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კოოპერატორებმა დაამთავრეს აფხაზეთში.

გერმანელთა სამომხმარებლო კოოპერატორების კავშირის ვიცე-პრეზიდენტი ბოსტნეულის, ხილისა და სურსის კარტოფილის შემსყიდველი ცენტრალური გაერთიანების გენერალური დირექტორი ჰანც-გეორგ ბაუერი და ამ გაერთიანების საინჟინრო ბიუროს სპეციალისტი ფოლკმარ პინსკე ესაუბრნენ „აფხაზკავშირის" გამგეობის თავმჯდომარეს ნ. კობახიას, დაათვალიერეს ავტონომიური რესპუბლიკის რამდენიმე რაიონის ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოები. კერძოდ, ისინი ეწვივნენ სოფლის რესტორანებს „მერხეულას", „ეშერას", „ამზას". სტუმრებთან ერთად იყო საქართველოს სსრ სამომხმარებლო საზოგადოებათა კავშირის — ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარე ნ. ჯავახიძე.

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის საქმიანობის გაცნობა ფრიად სასახელო იყო, ჩვენ მჭიდრო კავშირი დავამყარეთ ქართველ კოოპერატორებთან, თქვა მოსკოვში წასვლის წინ ჰანც გეორგ ბაუერმა.

## მკითხველთა მადლობა

ყაზბეგი. (საკ. კორ.). რომ იტყვიან, წიგნის ტრფიალით, — სწორედ ყაზბეგის სარაიონო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარ ნინო ზაგაშვილზეა ნათქვამი. იგი ოცდაოთხი წელიწადია, რაც საყვარელ საქმეს ემსახურება, ყოველთვის იმის ცდაშია, რომ წიგნი სხვებსაც შეაყვაროს. ნ. ზაგაშვილმა საზოგადოების დიდი მადლობა დაიმსახურა, როგორც გულისხმიერმა, ყურადღებიანმა და განათლებულმა მუშაკმა.

სწორედ ამიტომ იყო, რომ ამ სამიოდე წლის წინათ ნ. ზაგაშვილს საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარის საპატიო წოდება მიენიჭა.

„ვეფხისტყაოსანი" მსოფლიოს ხალხთა მრავალ ენაზეა თარგმნილი. შარშან კი დიდი ქართველი პოეტი და მოაზროვნე ლიტვურადაც ამეტყველდა. როგორც ქართველმა მკითხველმა უკვე იცის, რესპუბლიკურმა სახელმწიფო გამომცემლობამ „ვაგამ" ქ. ვილნიუსში ლიტვურ ენაზე გამოსცა პოემის სრული პოეტური თარგმანი, რომელსაც ცნობილმა პოეტმა **იონას ბრაიჩუნასისმა** მრავალი წლის დაძაბული შრომა მოანდომა.

— მე თბილისში დავიბადე, — ამბობს იონასი, — აქვე გავატარე ბავშვობა და მთელი ჩემს სიცოცხლეში თან გამყვა ქართველი ხალხისა და მისი დიდი კულტურის სიყვარული. ამ რამდენიმე წლის წინათ ქართველმა პოეტებმა გრიგოლ აბაშიძემ და რევაზ მარგიანმა ქართულ ენაზე თარგმნეს ჩვენი დიდი პოეტის ქრისტიონას დონელაიტისის (1714-1780 წწ.) პოემა „წელიწადის დრონი". „ვეფხისტყაოსნის" ლიტვურად თარგმნა არის ჩემი სამადლობელი სიტყვა ქართული მიწისადმი, სადაც დავიბადე და ბავშვობა გავატარე, სამადლობელი სიტყვა ქართველი ხალხისადმი, ქართველი კოლეგებისადმი, რომლებიც ასეთივე სიყვარულით ეპყრობიან ჩვენს დიდ ეროვნულ პოეტს დონელაიტისს, ლიტვურ კულტურას...

პოემის ლიტვური გამოცემის რედაქტორია ე. მატუზიავიჩიუსი, სუპერის მხატვრობა და წიგნის გრაფიკული გაფორმება ეკუთვნის რ. ტარაბილდოს. შესავალი წერილის („ბედი მგოსნისა") ავტორია გამოჩენილი ლიტველი პოეტი, ლენინური პრემიის ლაურეატი **ედუარდას მეჟელაიტისი**. წიგნს დართული აქვს რუსთაველის ეპოქის მოკლე ისტორიული მიმოხილვა, ცნობები ავტორსა და მის პოემაზე.

ქვემოთ უმნიშვნელო შემოკლებით ვბეჭდავთ **ედ. მეჟელაიტისის** წერილს, რომელიც ლიტვურიდან ქართულ ენაზე თარგმნეს **ბენია ასუბაიტემ და მირიან აბულაძემ**.

# ბედი მგოსნისა

### შოთა რუსთაველი ლიტველებს თავიანთ მშობლიურ ენაზე ესაუბრება

ძალიან ცოტა აუთენტური ცნობებია შემონახული რუსთაველის შესახებ, მაგრამ ეს არ არის გადამწყვეტი. მისი ცხოვრება იქცა ლეგენდად. ლეგენდა კი ზოგჯერ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მშრალი ბიოგრაფიული ანკეტა. ერი ქმნის ლეგენდებს მხოლოდ თავის საყვარელ შვილებზე. ლეგენდას, ჰიპერბოლიზაციის გზით, ადამიანი კვარცხლბეკის ყველაზე მაღალ საფეხურზე აჰყავს.

წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენამდის შემონახული ლეგენდა სინამდვილეს მოგვითხრობს. რუსთაველის დროს კავკასიაში ქართველებს ჰქონდათ ძლიერი სახელმწიფო, რომელსაც მართავდა ულამაზესი დედოფალი თამარი. მის სამეფო კარზე გაფურჩქნილი იყო პოეზია და ფილოსოფია, იქვე მოღვაწეობდა უნიჭიერესი ჭაბუკი პოეტი. იგი წარმოშობით რუსთაველიდან იყო და სახელად შოთას უწოდებდნენ. იგი მონაწილეობდა პირმშვენიერი დედოფლის კარზე გამართულ პოეტურ ტურნირებში. ამ მადლმოსილი პოეტის სიტყვიერი მახვილი ყოველთვის ნიშანში ხვდებოდა. ამაში მას ალბათ ხელს უწყობდა ტრფობა მზისდარი თამარისა. სიყვარული გამოარჩევდა შოთას კარის სხვა მგოსნებისაგან. მბრძანებლები კი გამოარჩევენ და აღამაღლებენ ბრძენთა შორის უბრძნესთ. დასაშვებად გვესახება, რომ პირმშვენიერ თამარს მოსწონდა არტისტული ტალანტი ახალგაზრდა პოეტისა. ამიტომ იგი, ჭაბუკი პოეტი, დედოფალმა გაგზავნა ბიზანტიაში ელინური სიბრძნის შესასწავლად. პოეტური სიტყვა უნდა იყოს ლამაზი, ზედმიწევნით ხატოვანი. პოეტური სიტყვები — ეს აფროდიტეს მარმარილოს ტანის ნაკვთებია. მაგრამ უნატიფესი ჭურჭელი სავსე უნდა იყოს არომატული, გულისა და სულის დამათრობელი ღვინითაც. პოეზია უნდა აღიტაცებდეს და ათრობდეს ადამიანს. ვინც პოეზიის ღვინოს გაუსინჯავს ჭაშნიკს, იგი მამაცი და შემმართებელი ხდება, უშიშარი ლაშქრობის დროს, შმაგი მიჯნურობაში.

შოთა რუსთაველი კონსტანტინეპოლში ყოფნისას ეზიარა ანტიკური სამყაროს სილამაზესა და სიბრძნეს. იქიდან მობრუნებისას სამშობლოში შეთხზა თავისი უკვდავი „ვეფხისტყაოსანი". გასაგებია, რატომ არის ეს თხზულება ასე ძვირფასი ქართველი ხალხისათვის და არა მარტო ქართველთათვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვისაც. რუსთაველის ხანაში ჯერ კიდევ არ იყო მოსული დანტე. შუა საუკუნეთა ტაძრებში ჯერ კიდევ წარმოსთქვამდნენ ასკეტურ ლოცვებსა და ზეცისადმი აღავლენდნენ დაქუფრულ საგალობლებს. საეკლესიო ფრესკებზე ადამიანი ხორცდაშრეტილი და ჯვარცმული გამოიყურებოდა. მას ჯერ კიდევ ფანატიკურად ჰქონდა აპყრობილი თვალები ზეცისაკენ... ჯერ კიდევ სუფევდა ღვთაების კულტი, ხოლო ადამიანის კულტი არსად ჩანდა. ამ დროს, როცა ჯერ კიდევ არ ჰქონდათ წარმოდგენა რენესანსული ეპოქის ხელოვნებასა და ადამიანზე, შორს, კავკასიის მთებში უკვე ჩქეფდა არაჩვეულებრივად მელოდიური და ტემპერამენტიანი პოეზია რუსთაველისა. მისი პოეზია იყო პირველი მერცხალი ადრეული ჰუმანიზმისა და რენესანსისა. ასე დაიწყო კავკასიის მთების მწვერვალებზე ადრეული გაზაფხული, ასე დაიწყო ყინულმა დნობა მთებში.

შოთა რუსთაველი ანტიკური ეპოქიდან დაბრუნდა ჩამოყალიბებული, დაბრძენებული, შინაგანი პოეტური სხივით განათებული, და თავისი გენიალური ქმნილება დედოფალს უძღვნა. სამწუხაროდ, როგორც ლეგენდა მოგვითხრობს სამეფო კარზე მას შეხვდნენ თავშეკავებულად და ოდნავ გულცივადაც კი, და არა ისე, როგორც ხვდებოდნენ წინათ პოეტურ ტურნირებზე. მისი ახალი ქმნილება ჰგავდა მთის ტბას, რომლის სიღრმეშიც მრავალი სიბრძნის მარგალიტი მოიძებნებოდა.

შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ როგორ შეხვდნენ საშუალო საუკუნეთა დოგმატიკოსები სიბრძნით აღსავსე ამ ნაწარმოებს. საშუალო საუკუნეების დოგმატიკოსებს წარმოედგინათ, რომ ეს წუთისოფელი ზევიდანვე ღვთაებრივი ხელით არის მოწესრიგებული და მისი შესწორება და გარდაქმნა საჭირო არ არის, ამაზე ფიქრიც კი მკრეხელობად ითვლებოდა, რადგან დოგმატიკური ლოგიკის ყინულით იყო ყველაფერი შეკავშნული... ამ დოგმატიკურ ჰარმონიას დაუნდობლად არღვევდა რუსთაველის ჩანგი. დახავსებულ მლოცველთა ფონზე პოემის გმირები წარმოგვიდგნენ სისხლსავსენი და ქანდაკებასავით ჩამოსხმულნი. გაყინულ საყდრულ მყუდროებაში ულმობლად შეიჭრა რუსთაველის მგზნებარე ლექსის ღაღადისი. ეს იყო ტარიელის იგავმიუწვდენელი ქვითინი. ტარიელი ერთ-ერთი საინტერესო, მრავალფეროვანი ლიტერატურული ფიგურაა მსოფლიოში.

ამბობენ, ქვეყანა სამართლიანად არის მოწყობილიო, მაშ რატომ ასე მდუღარედ აქვითინდა ჭაბუკური რომანტიკული სული? რას ეძიებდა ველად გაჭრილი ეს კეთილშობილი რაინდი? საიდან მოდის ეს გულშიჩამწვდომი, გაუგონარი ქვითინი? იქნებ ტარიელის ეს ქვითინი თვითონ პოეტის ცრემლებადდაწურული გულის ღაღადისია? გული კი მაინც რატომ ქვითინებს, თუ ეს ქვეყანა სამართლიანად არის მოწყობილი? იქნებ და მართლაც არ არის ასე მოწყობილი?!.

ადამიანს, როგორც ოკეანეში განმარტოებულად აღმართულ კლდეს უმოწყალოდ ეცხავენ ყოველდღიურობის ტალღები. ხშირად ამ კლდეს ჰაწრავს და სწვავს უსამართლობის ელვა, ულმობლად არყევს ოლიმპოს ძალთა ქუხილი. სულ უფრო ხშირად ემუქრება სულიერს ადამიანობისაგან განძარცვა. ნათქვამია: ადამიანი — მიწის მტვერიაო. უდაბნოს მარადიულ სტიქიურ ქარებს მთებს შორის უფსკრულებში გაუტაცნიათ ეს მტვერი დასამარხავად და მისი ხსოვნის აღსაკვეთად...

ძლიერ გვაღელვებს ტარიელის რაინდული პორტრეტი. მისი ჭაბუკური გული აღსავსეა რომანტიკულობითა და პროტესტით. ადამიანთაგან განრიდებული მარტოობას შეეფარა სულით ვნებული. იგი მსოფლიოო სევდით არის გულგასენილი. მაგრამ ტარიელისათვის უცხოა პესიმიზმი, პასიურობა. იგი მხრებზე მოისხამს ვეფხის ტყავს — რაინდობის ნიშანს და ისწრაფვის ვეფხვივით იბრძოლოს სიმართლისათვის, სიკეთისათვის, ჭეშმარიტი სილამაზისათვის, ჭეშმარიტი სიყვარულისა და ძმური მეგობრობისათვის. პოეტს ალბათ უნდოდა, რომ ამ რაინდულ იდეალს გაემარჯვა. ამიტომ არის, რომ პოემის ფინალში იმარჯვებს რაინდი. სამწუხაროდ, სულ სხვანაირად ფიქრობდნენ შუა საუკუნეთა ფანატიკოსები. მათთვის უცხო იყო ჰუმანისტური კულტი ადამიანისა. დოგმატიკოსები პოეტს სიყვარულის უფლებას არ აძლევდნენ. მათ გააძევეს პოეტი-ჰუმანისტი სამშობლოდან შორს. ასე იარა პოეტმა ტანჯვის გზებით, ვიდრე არ ჩავიდა იერუსალიმში. მან მიაღწია გოლგოთის მთას, სადაც ოდესღაც ღვთაებრივი სიკვდილის შარავანდედში ჯვარს აცვეს ადამიანი-ჰუმანისტი. აქ დაივიწყა პოეტის დიდმა ვნებებმაც, და ისიც აღესრულა „ჯვარზე გაკრული". ხალხმა კი შეინახა პოეტის ხსოვნა...

...ერთ შემოდგომას გავემგზავრე საქართველოს ულამაზესი მიწაწყლის და გმირი ქართველი ხალხის თაყვანისსაცემად, ხალხისა, რომელმაც საუკუნეებით შეინახა თავის ხსოვნაში პოეზიის ეს ფენომენი. პოეზიის მსოფლიო გეოგრაფიაში რუსთაველის ქმნილებას, კავკასიის მაღალი მწვერვალების მსგავსს, მარადიული სიცოცხლე უწერია. ადამიანთა მოდგმამ მრავალი მწუხარება და სატანჯველი, ბარბაროსული კირთება გადალახა. არაერთხელ იქნა განადგურებული მხატვრული შედევრები, დიდი ადამიანური სიმართლისა და მშვენიერების შემცველი ძეგლები. გასაკვირველი როდია, რომ ჩვენ — ქომაგნი მეოცე საუკუნისა, ამ ოცდაათი წლის წინათ აღმოვჩნდით მსგავსი კატასტროფების წინაშე, მაგრამ წინაპართა მიერ ანთებული კულტურის ჩირაღდანი მარად უქრობია. პოეტები ხშირად მიუსაფარნი ყოფილან, ბევრჯერ პოეტები პირისაგან მიწისა აღუგვიათ, მაგრამ მათ მიერ დანთებული პოეზიის ცეცხლი მარადიულია. პოეზიის ჩირაღდანი ხელიდან ხელში გადადის და უნათებს ადამიანს გზას სიმართლისა და მშვენიერებისაკენ.



სურათზე: „ვეფხისტყაოსნის" ლიტვური გამოცემის ყდა.



თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის თვითმოქმედი ანსამბლის მოცეკვავეები არაერთხელ გამოვიდნენ გამარჯვებულები რესპუბლიკურ და საქალაქო ოლიმპიადებსა და სხვადასხვა ფესტივალებზე.

ქორეოგრაფიულ ანსამბლ „გორდას" გამოსვლა შვიდჯერ გადაიცა საკავშირო ტელევიზიით და ოთხჯერ ინტერვიზიით. ქართველმა სტუდენტებმა ფართოდ გაუწიეს პროპაგანდა ხალხურ ცეკვებს საზღვარგარეთ გასტროლების დროს. ისინი კონცერტებით გამოვიდნენ ჩვენი პლანეტის თორმეტ სახელმწიფოში.

ამ ცოტა ხნის წინ თვითმოქმედ ქორეოგრაფიულ ანსამბლ „გორდას", რომელსაც საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მოღვაწე ბესიკ სვანიძე ხელმძღვანელობს, 40 წელი შეუსრულდა. **სურათზე:** გამოდიან ქორეოგრაფიულ ანსამბლ „გორდას" წევრები.

ს. თევზაძისა და მ. დათიკაშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

## გუშინ

თბილისში ნამდვილი გაზაფხული გვეწვია, თეთრად გადაიპენტა ნუში, ალუბალი, დღის 12 საათზე თბილისში იყო 18 გრადუსი სითბო, თელავში, სიღნაღში — 19, ახალციხესა და ახალქალაქში 11 გრადუსი სითბო.

დღეს, 11 აპრილს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, სამხრეთის რაიონებში მცირე წვიმა, რიონის ხეობაში იქროლებს წამში 7-12 მეტრი სიძლიერის ქარი. ბარში დღისით იქნება 21-26, ღამით 11-16 გრადუსი სითბო, მთაში დღისით 16-21, ღამით 2-7 გრადუსი სითბო.

## ამინდი

აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში მოსალოდნელია მცირე წვიმა, ბარში დღისით 19-24, ღამით 8-13 გრადუსი სითბო. მთაში დღისით 17-18, ღამით ნული-5 გრადუსი სითბო.

თბილისში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა უნალექოდ. ტემპერატურა დღისით 22-24, ღამით 11-13 გრადუსი სითბო.

## დღეს

## ჩემპიონის ტიტული პირველად

მინსკში რამდენიმე დღეა გრძელდება საკავშირო ჩემპიონატი ფიგურულ ციგურაობაში. გამოვლინდნენ უძლიერესები წყვილთა ასპარეზობაში. ოქროს მედლები პირველად დაიმსახურეს მოსკოველმა ახალგაზრდა სპორტსმენებმა ი. ჩერნიაევამ და ვ. ბლაგოვმა, რომლებმაც 415,5 ქულა (ადგილების ჯამი 9) შეაგროვეს. მეორე და მესამე ადგილები თანმიმდევრულად დაიკავეს ლენინგრადის წყვილებმა ი. ვორობიევამ და ა. ვლასოვმა — 402,0 (20) და ლ. ბელოუსოვამ და ო. პროტოპოპოვმა — 400,1 (26).




## ტრადიცია ირღვევა

„დინამო" (თბილისი) — „დინამო" (მოსკოვი) 1:0 (1:0). თბილისი. 10 აპრილი. „ლოკომოტივის" სტადიონი. მსაჯი — ვ. ალოვი (ლენინგრადი).

„დინამო" (თბილისი) — გოგია, ძოძუაშვილი, ჩელიძე (ებრალიძე), ხურცილავა, პეტრიაშვილი, გავაშელი, მჭედლიშვილი, ასათიანი, გუცაევი, გ. ნოდია, ყიფიანი.

„დინამო" (მოსკოვი) — პილგუი, ბასალაევი, ანიჩკინი, ზიკოვი, დოლბანოსოვი, ჟუკოვი, იაკუბიკი, საბო, კოზლოვი (ეშტრეკოვი), გერშკოვიჩი, ევრიუჟიხინი.

**უმაღლესი** ლიგის იმ კოლექტივებიდან, რომლებსაც წლევანდელ ჩემპიონატში „ოქროსმაძიებელთა" რიგებში ვხედავთ, მხოლოდ მოსკოვის სამი საკლუბო გუნდი უნდა გამოვყოთ, რომლებსაც თბილისის დინამოელებთან სპორტულ დავაში აქტიური ბალანსი აქვთ. ესენი არიან „დინამო", ცსკა და „სპარტაკი". მაგრამ აქ უპირატესობა დედაქალაქის დინამოელებს უნდა მივაკუთვნოთ — 36 მოგება, 12 ფრე, 11 წაგება. ეს ციფრები კომენტარს არ საჭიროებენ. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თბილისელებმა მოსკოველ თანაკლუბელებთან ბრძოლის „საიდუმლოებას" მიაგნეს და წლითიწლობით „ტრადიცია" ირღვევა. ავიღოთ თუნდაც გასული სეზონი. პირველ წრეში წარმატება მოსკოველებს ხვდათ (2:0), მეორეში — თბილისელებს (2:1).

რა თქმა უნდა, ამ ორი გუნდის პაექრობაში მეტი სიცხადის შეტანისათვის, ისიც ახალი ჩემპიონატის სტარტზე, არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა გუშინდელ მატჩს.

გუშინდელ მატჩში მოსკოველები შეცვლილი შემადგენლობით გამოვიდნენ, ცვლილებები იყო თბილისელთა რიგებშიც. ორივე გუნდში ყველა ხაზი აქტიურად იბრძოდა. იერიშებში ებმებოდნენ მცველებიც. წინა ხაზზე სტუმრები იმედებს ამყარებდნენ სისწრაფეზე — ევრიუჟიხინზე, გერშკოვიჩზე, და მაინც თბილისელები პირველ ტაიმში უკეთ თამაშობდნენ. აქტიურად მოქმედებდნენ ნახევარმცველები, ფორვარდებიდან გამოირჩეოდა გუცაევი. მე-9 წუთზე მარჯვენა ფრთიდან გათამაშებულ კომბინაციას მოჰყვა გავაშელის მიერ ბურთის ეფექტური დამუშავება და ძლიერი დარტყმა. პილგუის ნახტომი უშედეგო აღმოჩნდა — 1:0.

ასეთ დასაწყისს სტუმართა რიგებში დაბნეულობა არ გამოუწვევია, ისინი აქტიურად მოქმედებდნენ, ამას ისიც დაერთო, რომ თბილისელთა დაცვაში დაშვებულ იქნა რამდენიმე შეცდომა, მაგრამ ბრწყინვალედ ითამაშა მეკარე გოგიამ.

მეორე ნახევარში სტუმრებმა, რომლებიც მხოლოდ კონტრთამაშზე ზრუნავდნენ არაერთი სახიფათო მომენტი შექმნეს, თუმცა ამას მათთვის სასურველი შედეგი არ მოუტანია. მოსკოვის დინამოელებმა სტარტზე დამარცხება განიცადეს 0:1.

ამ გუნდების დუბლიორთა მატჩის შედეგია ფრე — 1:1.

**ვ. გაბელია.**

## დ. ვეკუას ორი გოლი

გუშინ ქუთაისის ტორპედოელები საკავშირო ჩემპიონატში ჩაებნენ. პირველი მატჩი მათ საკუთარ მოედანზე ჰქონდათ ორჯონიკიძის „ავტომობილისტთან". მაყურებლებმა ნახეს კარგი ფეხბურთი.

თანდათანობით გამოიკვეთა ტორპედოელთა უპირატესობა. მათი იერიშები მძაფრი და სახიფათო იყო, ცოტა ჯაფა როდი დაადგათ ორჯონიკიძელთა მცველებსა და მეკარეს. ანგარიში ქუთაისელებმა გახსნეს. ეს მოხდა მე-16 წუთზე. ბურთი ვეკუამ გაიტანა.

ეს გოლი ერთადერთი აღმოჩნდა პირველ ნახევარში. თამაშის 59-ე წუთზე ისევ ვეკუამ ისახელა თავი, მან მეორეჯერ აიღო მეტოქის კარი. სტუმართა ცდას, როგორმე თავი დაეღწიათ დამარცხებისათვის, შედეგი არ მოჰყოლია. „ტორპედომ" პირველი გამარჯვება იზეიმა 2:0.

ტორპედოელთა შემადგენლობაში იყვნენ — კავაზაშვილი, წვერავა, რეხვიაშვილი, მაზიაშვილი, მირონოვი, ოქროპირაშვილი (ფრიდმანი), ლენიოვი, ამბარცუმიანი (ზ. სილაგაძე), ვეკუა, ხერხაძე, ჯ. სილაგაძე.

თამაშს სჯიდა ი. ლუკიანოვი (მოსკოვი).

## რამდენიმე სტრიქონით

● ცსკა-ს დაშნით მოფარიკავეთა ნაკრებმა გუნდმა მოიპოვა ევროპის თასი დასავლეთ გერმანიის პატარა ქალაქ ჰეიდენგეიმში გამართულ ასპარეზობაზე. საბჭოთა მოფარიკავეებმა ფინალში სძლიეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდს „ფკ ტაუბერბიშოფსგეიმს" 9:6. მესამე საპრიზო ადგილი ხვდათ შვედ მოფარიკავეებს.

● კიევის „სპარტაკის" ხელბურთელ ქალთა კოლექტივი ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალში გავიდა. მართალია, სპარტაკელებმა განმეორებითი მატჩი მიშკოლცში საკლუბო გუნდ „ბაკონთან" წააგეს 9:10, მაგრამ მათ პირველი შეხვედრა კიევში მოგებული ჰქონდათ უნგრელებთან 14:5 და განაგრძობენ თასისათვის ბრძოლას.

● სსრ კავშირის თასი კრივში მოიპოვა „სპარტაკის" გუნდმა. სპარტაკელებს კრასნოიარსკში ფინალური შეხვედრა ჰქონდათ არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის მოკრივეებთან და გაიმარჯვეს 17:16.

საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო იუწყება, რომ გარდაიცვალა სამინისტროს განყოფილების უფროსი

**იოსებ (სოსო) რევაზის-ძე ჩიტაშვილი**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

## ოფიციალური ცხრილი

**მომგებიანი ანაბრების მოგებათა მე-19 ტირაჟისა, რომელიც შედგა ქ. ყვარელში 1972 წლის 6 აპრილს, მოგება ხვდა საქართველოს სსრ შემნახველ სალაროებში მოთავსებული მომგებიანი ანაბრების ანგარიშების შემდეგ ნომრებს:**

| ანგარიშების №№ | მოგებათა ოდენობა პროცენტობით ანაბრის საშუალო თანხასთან | ანგარიშების №№ | მოგებათა ოდენობა პროცენტობით ანაბრის საშუალო თანხასთან |
|---|---|---|---|
| ა 39 | 25 % | ა 541 | 25 % |
| ა 47 | 25 % | ა 585 | 25 % |
| ა 93 | 25 % | ა 621 | 25 % |
| ა 142 | 25 % | ა 649 | 200 % |
| ა 163 | 25 % | ა 701 | 25 % |
| ა 218 | 25 % | ა 734 | 50 % |
| ა 242 | 50 % | ა 791 | 25 % |
| ა 310 | 25 % | ა 826 | 25 % |
| ა 351 | 100 % | ა 866 | 25 % |
| ა 381 | 25 % | ა 905 | 25 № |
| ა 437 | 25 % | ა 923 | 25 % |
| ა 478 | 25 % | ა 987 | 25 % |
| ა 516 | 100 % | | |

შემნახველ სალაროებში, სადაც ანგარიშების რიცხვი ათასზე მეტია, მოგება ყველა მომდევნო ათასეულში ხვდა იმავე ანგარიშებს, რომლებიც პირველ ათასეულშია, ე. ი. №№ ა-39, ა-1039, ა-2039, ა-47, ა-1047, ა-2047 და სხვ.

ტირაჟის ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარე ყვარლის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ზ. იოსებაშვილი.**

სატირაჟო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სსრ სახშრომშემნახველი სალაროების და სახკრედიტის სამმართველოს ოპერატიული განყოფილების უფროსი **ა. შპეინბერგი.**

საქართველოს სსრ სახშრომშემსალაროებისა და სახკრედიტის სამმართველოს უფროსი ეკონომისტი **მ. ჯანბაძე.**

## ტელევიზია

**11 აპრილი**

პირველი პროგრამით

11.05 — „სსრკ-50" —კინონარკვევი „ნიჟნი-ნოვგოროდი 750 წლისაა", 12.05 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — მხატვრული ფილმი „ემმაკის მსახური", 13.30 — სატელევიზიო ფილმი 14.10 — „თაობათა ესტაფეტა" (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.05 — აბიტურიენტთა დასახმარებლად — ლექცია ბიოლოგიაში, 17.50 — ახალი ამბები, 17.55 — განცხადებები, 18.00 — ბავშვებისათვის — „ცეროდენას ეკრანი" „წკრიალა სიმები", 18.10 — მოსწავლეთათვის — „გაბედული ფოტომონადირე", 18.30 — „ჯანმრთელობა" — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — „სსრკ-50" — „საბჭოეთის თანატოლი", 19.20 — კინონარკვევი, 19.30 — თქმულება ვარსკვლავეთზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.00 — ახალგაზრდული საქმეები", 20.30 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.55 — გადაცემა — „მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილი", 21.35 — საუბარი მუსიკალური კრიტიკის შესახებ, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — პოლონური სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „მიზანი, რომელიც სიცოცხლეზე მეტია" — IV სერია (ქართულ ენაზე), 23.30 — საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ძალოსნობაში (გადმოცემა ტალინიდან).

მეორე პროგრამით

18.20 — სკოლების დასახმარებლად — ხაზვა (სამშენებლო ხაზვა VII კლასელთათვის), 19.05 — სკოლების დასახმარებლად — ქიმია (მარილთა კრისტალიზაციის შესწავლა ქიმიის წრეში), 19.50 — განცხადებები, 19.55 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია თეორიულ მექანიკაში, 20.55 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია მეცნიერულ კომუნიზმში, 21. 40 — მხატვრული ფილმი — „გზა რუბენცალისაკენ".

**12 აპრილი**

პირველი პროგრამით

11.05 — სატელევიზიო ფილმი — 12.00 — „სიმღერები გაგარინზე" (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.20 — ფერადი ტელევიზია. დოკუმენტური ფილმი „შეხვედრა მარსთან", 12.35 — დოკუმენტური ფილმი „მოთხრობა ჩემს მეგობარზე", 17.40 — მეცნიერული კომუნიზმის საფუძვლების შემსწავლელთა დასახმარებლად, 18.00 — კოსმონავტიკის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომის ტრანსლაცია კრემლის ყრილობათა სასახლიდან, 19.15 — მოსწავლეთათვის. „სსრ კავშირი-50". „თავისუფალ ერთა ძმურ ოჯახში", 19.35 — „ადამიანი და სამყარო", — 20.05 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.30 — პოლონური სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „მიზანი, რომელიც სიცოცხლეზე მეტია" (მეხუთე სერია), 21.30 — მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეიში. ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირი [illegible] ბოლო პერიოდი (გადმოცემა პრაღიდან), 22.15 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.45 — კონცერტი, მიძღვნილი კოსმონავტიკის დღისადმი (ტრანსლაცია კრემლის ყრილობათა სასახლიდან), 00.15 — ფერადი ტელევიზია. მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეიში. ფინეთი-შვეცია. მეორე და მესამე პერიოდი (გადმოცემა პრაღიდან).

მეორე პროგრამით

18.20 — სკოლების დასახმარებლად — ქიმია (ჟანგვა-აღდგენის რეაქცია), 19.05 — სკოლების დასახმარებლად — ფიზიკა (მუშაობა და სიმძლავრე. მეექვსეკლასელთათვის), 19.50 — განცხადებები, 19.55 — ტექნიკუმის მოსწავლეთა დასახმარებლად — ლექცია ტექნიკურ მექანიკაში, 20.40 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია პოლიტიკურ ეკონომიაში, 21.25 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. დოკუმენტური ფილმი „ოლოხოს ხალხის ხელოვნება", 21.45 — „კინოაფიშა".

## თეატრები

**11 აპრილი**

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ქუჩილის ბილიკით (პრემიერა); რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — გუშინდელნი; ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — სიმღერა ტყეში.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

რედაქტორი [illegible]

კომუნისტი

380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14, [illegible]

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 [illegible] 04493 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.